

სალოგოზო პერიკლი

23

მაისი
ხუთშაბათი

1991

№ 59

(11692)

ეროვნული
გზაობისთვის




გამოცემის
1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპ.



საინფორმაციო ცენტრი



ან ყმაწვილები, რათა თავიანთ სა-
მშობლოს ემსახურათ.
ჯერ კიდევ 1991 წლის 29 იან-
ვარს საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა
მიიღო გადაწყვეტილება რესპუ-
ბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტ-
როს შინაგან ქარბებში — ერო-
ვნულ გვარდიის მისი-იგნისში
სავალდებულო სამხედრო სამსა-
ხურში გაწვევის შესახებ.
დღეს პრაქტიკულად საქართვე-
ლოს ყველა ქალაქსა თუ რაიონ-
ში შექმნილია გასაწვევი კომისია,
რომლებიც უკვე სრული დატვი-
რებით მუშაობენ.

საგაზაფხულო გაწვევა



საქართველოს რესპუბლიკის
ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი
ხაწილის დისლოკაციის ადგილზე



ეს ჰაბუკები გასაგები მღელვა-
რებით მოდიან: ამერიკიდან ისინი
თავიანთი ჯინსის შარვლებსა და
ჭურთუკებს გვარდიის ფორმით
შეიცვლიან და მეომრის საკმაოდ
ძველ ცხოვრებას შეუდგებიან. მი-
უხედავად ამისა, ამ ჰაბუკებიდან
ვერც ერთს ვერ შეამჩნევთ რაიმე
ნალევლს, რაც, აბა რა დასაშალოა,
ჩვენო მკითხველო, ასე ხშირად
გვინახავს გასაწვევ პუნქტებში.
საგაზაფხულო გაწვევა... მოდი-

სურათი: პირველი მწყობ-
რი.
საქართველოს ეროვნული გვა-
რდიის სახელეო ორგანოების მარ-
ში, რომელსაც რესპუბლიკის და-
მსახურებელი არტისტები ნოდარ
ხოფერი ხელმძღვანელობს.
ეროვნული გვარდიის სამხედ-
რო ბილეთი.
მომავალ შეხვედრამდე, ნათე-
ხავებო!
ისინი ერთად იმსახურებენ
თბილისში: ძმები იაგო, კახა და
დათო ლაგვილაშვილები. ჩხორაყუხ
რაიონის სოფელ კოლიდან.

საინფორმაციო ცენტრი



სამშაბათს ინდოეთში მიმდინა-
რე საყოველთაო არჩევნების
დროს, ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ
მადრასთან მოკლეს ყოფილი პრე-
მიერ-მინისტრი რაჯივ განდი, რო-
ცა ის მიტინგზე გამოსასვლელად
ემზადებოდა. რ. განდი სათავეში
ელდა ქვეყნის უდიდეს ოპოზიცი-
ურ პარტიას — ინდოეთის ეროვნ-
ულ კონგრესს და ატარებდა წი-
ნასაარჩევნო კამპანიის დასკვნით
ეტაპს. ბოში აფეთქდა მისი მან-
ქანიდან გადმოსვლის დროს, მას-
თან ერთად დაიღუპა 15-მდე ად-
ამიანი. დამნაშავეთა შესახებ ჯერ-
ჯერობით არაფერია ცნობილი.
ინდოეთის მთავრობამ არჩევნე-
ბი იგნისში გადაიტანა. მთელ ქვე-
ყანაში შემოღებულია უშიშროე-
ბის ზომები ძალადობის მრავალ-
რიცხოვანი აქტების გამო, რომ-
ლებიც თან ახლავს არჩევნებს.
ინდოეთის ეროვნული კონგრესის
ხელმძღვანელობა ატარებს სხდო-
მებს ახალი ლიდერის ასარჩევად.
საზოგადოებრივი აზრის გამოკი-
თხვა მოწმობს, რომ მისი დაბრუ-
ნება ხელისუფლების სათავეში ამ
არჩევნების შედეგად სავსებით
რეალური იყო.

რაჯივ განდის მკვლელობა ამ-
თავრებს ნერუს დინასტიის თითქ-
მის უწყვეტ მმართველობას ინ-
დოეთში, რომელიც 1947 წელს,
ამ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლო-
ბის მოპოვების შემდეგ დაიწყო.
მისი ბაბუა, ჯავაჰარლალ ნერუ ინ-
დოეთის პირველი პრემიერ-მინისტ-
რი იყო. 1984 წელს სკიპმა ტე-
რორისტებმა მოკლეს რაჯივ გა-
ნდის დედა, ასევე პრემიერ-მინი-
სტრი ინდირა განდი. რაჯივს არ
ამაღებდნენ პოლიტიკური კარი-
ერისათვის. ის პილოტი იყო და
მრავალი წლის მანძილზე მართავ-
და ინდოეთის სახელმწიფო ავია-
კომპანიის კუთვნილ „ბოინგ
737“-ს. უმცროსი ძმის, სანჯივის
სიკვდილმა აიძულა განდი, პოლი-
ტიკური მოღვაწეობა დაეწყო.
1982 წელს ის აირჩიეს პარლა-
მენტის წევრად, ხოლო 1984
წელს, დედამისის მკვლელობის
შემდეგ, პრემიერ-მინისტრად.
პრემიერის პოსტზე მოღვაწეობის-
ას ის შეეჯახა იმავე ეთნიკურ
პრობლემებს, რომლებიც ინდირა
განდის დროსაც არსებობდა და
საბოლოო ჯამში მისი სიკვდილის
მიზეზი გახდა. კერძოდ კი, სიკე-
ბის მისწრაფება დამოუკიდებელ
სახელმწიფოს შექმნისაკენ და ინ-
დოეთის არმიის მონაწილეობას
შრი-ლანკის სამოქალაქო ომში სა-
შვილობო ძალების სახით. 1989
წელს რ. განდი დამარცხდა საპა-
რლამენტო არჩევნებში და გა-
დაღდა.

რაჯივ განდის სიკვდილის შემ-
დეგ ინდოეთის უდიდესი ოპოზი-
ციური პარტია — ეროვნული კონ-
გრესი — ლიდერის გარეშე დარ-
ჩა და ეს, ალბათ, მნიშვნელოვნად
შეცვლის ძალთა თანაფარდობას
ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეთიოპიის პრეზიდენტი მენგეს-
ტუ ჰაილე მარიაში, რომელიც 14
წლის განმავლობაში მართავდა
ქვეყანას, სულ უფრო მზარდ
მთავრობის საწინააღმდეგო ამბო-
ხების პირობებში გადადგა და გა-
იქცა ქვეყნიდან. ვარაუდობენ,
რომ ის ზომიარეში გაემგზავრა.
პრეზიდენტის პოსტი დროებით
დაიკავა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენ-
ტმა გ. კელანამ, რომელმაც მო-
უწოდა ეთიოპიელ ამბოხებულებს
სამოქალაქო ომის შეწყვეტისაკენ
და თქვა, რომ მზად არის მოლა-
პარაკების დასაწყებად დროებითი
მთავრობის შექმნის საკითხზე.

ეთიოპიელ ამბოხებულთა სამი
ძირითადი დაჯგუფების წარმომად-
გენლები აცხადებენ, რომ პრე-
ზიდენტის გამგზავრება არ არის
საკმარისი 30-წლიანი საბოტაჟი
ომის შეწყვეტისათვის, თუმცა ის-
ინი დათანხმდნენ სამშვიდობო
მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე,
რომელიც მომავალ კვირას დაიწ-
ყება ლონდონში.

შეერთებული შტატების ელჩმა
იუგოსლავიაში ჯორჯი ციმერმანმა
განაცხადა, რომ ამერიკის მთავ-
რობამ შესაძლოა გადასინჯოს თე-
ვისი გადაწყვეტილება იუგოსლავი-
ისათვის დახმარების შეწყვეტის
თაობაზე, თუ ქვეყანა დამოკიდ-
კონსტიტუციურ კრიზისს და აირ-
ჩევს ხორვატიის წარმომადგენელს
ს. მესიჩს პრეზიდენტის თამაშო-
მარედ. ტანუგის სააგენტოსათვის
მიცემულ ინტერვიუში უ. ციმერ-
მანმა აღნიშნა, რომ ამერიკის და-
ხმარება შეწყდა სერბიის მთავრო-
ბის მოქმედების გამო, რომელიც
უხეშად არღვევს ადამიანის უფ-
ლებებს კოსოვოს ოლქში; გარდა
ამისა, მისი აზრით, ამასწინათ სე-
რბიაში ჩატარებული არჩევნები,
რომლის შედეგად ხელისუფლების
სათავეში კვლავ კომუნისტები მო-
ვიდნენ, არ იყო თავისუფალი და
დემოკრატიული.

გუშინ პრეზიდენტი ჯ. ბუში
ტელეფონით ესაუბრა იუგოსლავი-
ის პრემიერ-მინისტრს ა. მარ-
კოვიჩს და უთხრა, რომ არ გამო-
რიცხავს დახმარების განახლებას,
ამასთან მხარს უჭერს ერთიანი,
პრეზიარტად დემოკრატიული იუ-
გოსლავიის შენარჩუნებას.

ირინა თავდრაშვილი

სამეცნიერო-საწარმოო გაერთი-
ანება „თავისუფალი პროფკავში-
რებმა“ სტიქიით დაზარალებულთა
დახმარების ფონდში გადარიცხა

3000 მანეთი. ამას გარდა, გაერ-
თიანების თანამშრომლებმა ამავე
ფონდში გადარიცხეს 2 ლდის ხე-
ლფასი.

გაზეთ „ზანისი“ კონკურსი-გამოკითხვა (მ-
ღვანეა მერაბ კოსტავას ხსოვნას).
თქვენ უნდა უპასუხოთ კითხვას —
305 არის ზოლო ერთი წლის განმავლობაში — 1990 წლის
26 მაისიდან 1991 წლის 26 მაისამდე — უველაჰ პოპულა-
რული ადამიანი საქართველოში? გამოკითხვაში თუ კონ-
კურსი გამარჯვებულზე უფრო დიდი პრიზი და ფულადი
ჯილდოები.

კონკურსის პირობები იხ. მე-5-6 გვ.

„საქარის“ წვლილი

მიწისძვრით დაზარალებული
რაიონებისათვის ბევრმა საწარ-
მო და ორგანიზაციამ გაიღო გუ-
ლუხები დახმარება. მათ შორისაა
საწარმოო გაერთიანება „საქარ-
ი“, რომელმაც საჩხერის, კიათუ-
რის, ამბროლაურისა და ონის რა-
იონებში შეიტანა 290000 მანეთის
ლირებულების რდის ნაწარმი, მათ
შორის 210000 მანეთისა — უფა-
სოდ. კერძოდ — 35 ტონა მშრა-
ლი რძე, 24 ტონა ყველი და


რძის სხვა პროდუქტები. გაერ-
თიანების საწარმოებმა სტიქიით
დაზარალებულთა დახმარების ან-
გარიშზე გადარიცხეს 170000 მა-
ნეთი.
გაერთიანების დირექტორთა
საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება
იმის თაობაზე, რომ გაერთიანების
თანამშრომელთა შორის შეგროვი-
ლი თანა მონხარდეს დაზარალებ-
ულ რაიონებში განლაგებულ
გაერთიანების საწარმოთა თანამშ-

რომლებსათვის საჭირო საოჯახო
ნივთებისა და სამშენებლო მასა-
ლების შექმნას. სტიქიის შედე-
გად დაინგრა ჰიათურისა და ონის
რძის გადამამუშავებელი ქარხნე-
ბი, ამბროლაურის ქარხანა კი სე-
როზულად დაზიანდა. ამიტომ გა-
ერთიანების საპროექტო და ცვლ-
ვითი ინსტიტუტების სპეციალის-
ტებისაგან შეადგინეს მუშა ჯგუ-
ფები, რომლებიც შეიმუშავენ
წინადადებებს ამ ობიექტებში
ექსპლუატაციაში დროული გაშ-
ვებისათვის.

მოკლე
ბიოგრაფიული
ცნობები:

ფილოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნოდარ
რევაზის ძე ნათაძე დაიბადა
1929 წ. თბილისში,
ცნობილი ფიქციონისტის,
აკადემიკოს რევაზ ნათაძის
ოჯახში.
1956 წ. 9 მარტის
გამოსვლების დროს
დაკავებული იყო სუიის
მიერ, როგორც
„უწესრიგობის“ მონაწილე.
1961 წლიდან ხაინაფლოს
შეფობის მონაწილეა, 1965
წლიდან კი ამ საქმის
ერთ-ერთი ლიდერი და
საშეფო კომისიის
თავმჯდომარე წლების
მანძილზე.
იგი ყოველთვის
უპირისპირდებოდა სსრკ-სა
და ადგილობრივი

„მოგვარებას ვიპოვებ“



ნოდარ რევაზი — ავტორი

ნოდარ ნათაძის პრინციპები დღევანდელი საგარეო
მართვისათვის უმნიშვნელოა:

1. მტკიცე პოზიცია საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, პი-
რველ ყოვლისა — საბჭოთა კავშირის ცენტრის მიმართ, რომლის
სამხედრო ნაწილები დღეს შიდა ქართლში მოქმედებენ საქართვე-
ლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.
2. დემოკრატია და პოლიტიკური შემწეობა, მრავალპარ-
ტიულობის შეუზღუდველი დაშვება, საქართველოს მართვის ორგა-
ნიზაციის დაკომპლექტება მხოლოდ პარტიზანული კომ-
პეტენციის, მოქალაქეობრივი პატიოსანებისა და პატრიოტული ერთ-
გულების ნიშნის მიხედვით, პარტიული კუთვნილების განურჩევლად.
ამგვარად, ერთი პოლიტიკური ბლოკის — „მრავალი მაგილის“ მიერ
შემოღებული, პრაქტიკულად ერთპარტიული მმართველობის შეც-
ვლა, რაც შედეგად მოიტანს საქართველოს ყველა პოლიტიკური
ძალის ნაყოფიერ მონაწილეობას ქვეყნის მართვის პროცესში. სი-
ტყვის, პრესის და ინფორმაციის სხვა საშუალებების კომპლექსი-
თავისუფლება, დემოკრატიის განმტკიცება ადგილზე, პრევენტულ
უფლებების მკვეთრი შეზღუდვა, იმ მდგომარეობის შეწყვეტა, რო-
ცა პრევენტული უფლებამოსილება აერთიანებს ყოფილი რეჟიმის
მდივნისა და აღმასკომის (თავმჯდომარის) ფუნქციებს.
3. აფხაზეთში და აჭარაში ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს დემოკრატიული არჩევნების დროული ჩატარება ნორმალურ
ნაშუალო ვითარებაში.

— ბატონო ნოდარ, როგორ
აფხაზეთში პირველი მრავალპარტი-
ული არჩევნებიდან დღემდე გან-
ვლილ ეტაპს და როგორია მომე-
დლის თქვენთვის პროგნოზი?
— საქართველოს განთავისუფ-
ლების გზაზე ამ 8 თვეში გადა-
ვიდა რამდენიმე უმნიშვნელოვა-
ნესი ნაბიჯი. მიუხედავად ამისა,
მე მიმაჩნია, რომ პარლამენტმა
თავისი შესაძლებლობები გამოი-
ყენა მაქსიმუმ ერთ-მხრივად.
ჩვენ ბევრად მეტი შესაძლებლო-
ბები გვაქვს. ფიზიკური შესაძლო-
ბობა მეტი არა გვაქვს იმდენად,
რომ პარლამენტი მცირეობისთვის
არა და სამწუხაროდ, მართვის
პროცესში ჩაბმულ ადამიანთა რი-
ცხვი ძალიან პატარაა. იგი პა-
ტარაა მხოლოდ და მხოლოდ მა-
რთვის პარტიული პრინციპის გა-
მო. მართლაც არ არის ჩაბმული
სხვა ეროვნული ძალები, არ არის
ჩაბმული ხალხის, კერძოდ კი ინ-
ტელიგენციის ის უდიდესი მასა,

რომელიც ჯერჯერობით აქტიურ
პოლიტიკურ საქმიანობაში არ ჩა-
რთულა, მაგრამ თავისი პროფესი-
ონალიზმითა და პატრიოტული სუ-
ლისკვეთებით ძალიან გამოადგე-
ბოდა დღეს მართვის პროცესს.
ჩვენ ოთხ-მეხუთედამდე ვერ გამო-
ვიყენეთ ის ხელსაყრელი შემთხ-
ვევა, რასაც ახლა ისტორია გვაძ-
ლევს.
რაც შეეხება მომავალს, პრო-
გნოზირება ძნელია, მაგრამ შემი-
ძლია გადაჭრით ვთქვა: თუ საქ-
ართველოს მართვა ისევე პარტიულ
პრინციპზე დარჩება, არა ერთ პარ-
ტიულ, არამედ მრავალპარტიულ,
მაგრამ მაინც პარტიულ პრინციპ-
ზე, ჩვენი მართვა ქვეყნის კოე-
ფიციენტი იგივე იქნება — ერთი
მეხუთედი. ე. ი. ჩვენ ერთ-მეხუ-
თედს თუ გავაკეთებთ იმისას, რი-
სი გავითვლის საშუალებასაც დღეს
ისტორია გვაძლევს.

— ტელევიზორიდან ძალზე
ხშირად ვხდებით პრეზიდენტის კა-

4. მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის ძირითადი რეორ-
განიზაცია. იქ, სადაც არ არსებობს დამატებითი სირთულეები, სა-
კარმიდამო და სამოსახლო ნაკვეთების დაუყოვნებლივ გაცემა და
გაზრდა მაქსიმუმამდე, ხოლო დანარჩენი საგარეულობის გაცემის
წესის რეგულირებისათვის მიწის კანონმდებლობის სასწრაფოდ შე-
მუშავება და მიღება.
5. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგული მანქანები, ეგრეთ
წოდებული საიქარო ფორმებიდან თავისუფალ კერძო მიწათმფლო-
ბელობაზე გადასვლა და მისი სახელმწიფო ხელშეწყობა.
6. თავისუფალი კერძო მეწარმეობის დაუყოვნებლივ დაცანობა
და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობის გარანტირება.
7. ეკონომიკური ინიციატივის განვითარება მოსახლეობის და-
ბეგვრისა და საწარმოთა გადასახადების მაქსიმალურად შემცირების
ხარჯზე.
8. ფასების გონივრული პოლიტიკის გატარება და მოსახლეობის
დაცვა ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემისაგან.
9. უპილოტო გარეუბნული სასაქონლო დეფიციტის პი-
რობებში ყოველდღიურად გაუმართლებელი შეზღუდვების გაუქმება სავა-
ჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში საბჭოთა კავშირის რესპუბლი-
კებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან.
10. ყოველგვარი აღმინისტრაციულ-თვითნებური ჩარევის აღკ-
ვეთა კულტურის სფეროში.
11. საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის დაჩქარება.

ნდობისა და მათი ნდობით
აღჭურვილი პირებისაგან გამოთქ-
მული საჩივარი იმის გამო, რომ
წინასაარჩევნო კამპანია კანონების
უხეში დარღვევებით მიმდინარე-
ობს. თქვენ რა აზრისა ბრძანდ-
ბით ამის თაობაზე?
— დიახ, არის ბევრი პრეტენ-
ზია. მე ვერ ვიტყვი, რომ დი-
უმართებლო იყოს, მაგრამ ვერც
იმას ვიტყვი, რომ მე მას ვამჩნევ,
რადგან დიდ ყურადღებას არ ვა-
ქცივ. გუშინ, მაგალითად, ბათუ-
მში გახლდათ და შეხვედრაზე ვი-
ლაკამ ასეთი წერილი მოიწერა:
ყველა კანდიდატის გვარები იწე-
რება ანტიპარტიული წითელ ფონზე,
ანტიპარტიული ფერის ასოებით,
ერთი კანდიდატის იწერება მო-
ხილავ ცისფერ ფონზე მოხილავ
ფერის ასოებით. მე ეს არ
შემიშინებია, ვილაკამ კი შეამჩნია
და მკითხა — როგორ უყურებთ
ამას...
რა თქმა უნდა, ყველაზე მწვავე

არის ის ინციდენტი, რომელიც
მოხდა პრეზიდენტობის კანდიდა-
ტის ბატონ ვალერიან ადგაძის
შტაბ-ბინაში. უაღრესად სამწუ-
ხარო ინციდენტი, რაც ამ ფაქ-
ტის შესახებ ითქვამს ტელევიზიაში,
ის ეპითეტები — სამშობლოს მო-
ლაღატე, ერის მოღალატე და ასე
შემდეგ — ვერ იქნება გამართლ-
ებული ვერც მორალურ და ვერც
იურიდიულ ნორმებში. ეს რომ
მომხდარიყო ისეთ სახელმწიფოში,
რომელიც დაჩვეულია დემოკრატი-
ას, ის პიროვნებები, ვისაც შე-
ენენ, აღძრავდნენ საქმის სასამა-
რტოლოში დასასამართლო მიუსჯი-
და ტელევიზიის უზარმაზარ ჯარი-
მებს. შემდეგ, ალბათ, ტელევიზიის
დასპირდებოდა კიდევ ახალი პრო-
ცესი, ვინც ეს ტექსტი შეუკვეთა
იმის წინააღმდეგ და თავის მხრივ
იმას გადასდევნიდა ჯარიმას.
ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტი
არ დარჩებოდა იურიდიული რეა-
გირების გარეშე.

უბრუნებო პორტრეტისათვის

ამ წერილის მიზანი არ არის
ზვიად გამსახურდიას პიროვნების
ყოველმხრივი შეფასება. არ ვა-
პირებ მის მიერ განხორციელებუ-
ლი შინაური პოლიტიკის მიმოხი-
ლვას, არც მასზე, როგორც მრავ-
ალმხრივ განსწავლულსა და გა-
ნათლებულ პიროვნებაზე წერას;
არაფერს ვიტყვი ტრადიციული
სახელმწიფოს წინააღმდეგ მის
ბრძოლებზე, არც მის მოწამებრივ
ცხოვრებაზე. მე მხოლოდ და
მხოლოდ ჩემი თვალით დახატული
და ჩემი ყურით გაგონილი ზო-
გიერთი შტრიხით მინდა შევავსო
ზვიად გამსახურდიას პორტრეტი,
თორემ ზემოთ ჩამოთვლილი ამ-
ბებზე ზოგიერთ მკითხველს ჩემზე
უკეთადაა მოგონება.

სიმაღლე? ქვემოთ ხალხი ბო-
ბოქრობს მეორე... მეორე... ორას
ერთი... ორას ერთი... ისმის ყვი-
რილი! ხალხი მეორე კანონპრო-
ექტს უჭერს მხარს და ამ მხარ-
დაჭერას მძაფრი პროტესტით გა-
მოხატავს. კომუნისტთა ფრაქცია
ცილილობს გამარჯვების მოპოვე-
ბას. ფრაქციას 301-დეპუტატიანი
პარლამენტი სურს. ასე მეტი შა-
ნსი აქვს, რომ ჩემთვის უმრავლეს-
ობას მიიღებს. უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე გივი გუმბარიძე და-
მსწრეთ ადრთხალვას, რომ თუ
ხალხი არ დამშვიდდა, სესიის მუ-
შაობას გადადებს. ქვემოთ კი
ძლიერდება გოდება, ტირილი,
ყვირილი... მთავრობის სასახლის
თაღებზე უხანძრეს კაცს სა-
ნთელი უჭირავს ხელში. მეორე
ხელში აქვს გადაშლილი ლოცვა-
ნი და ღმერთს ავღრიებს ტანჯულ
საქართველოს. ბატონი ზვიადი ან-
ლაც ხალხის წინაშე გამოდის, რო-

გორც ყოველთვის, გარეგნულად
მშვიდი, თავშეკავებული და სა-
ზოგადოებას სთხოვს სიმშვიდეს.
ზღვასავით აბორგენული ხალხი
წყნარდება. ქვეშაირად დიდია
ხალხის სიყვარულის ძალა, რომე-
ლიც მხოლოდ რჩეულთა ხვედ-
რია. თავისი ერის ასეთი რჩეულია
ზვიად გამსახურდია.
...ოქტომბრის შუა რიცხვები.
ბატონ ზვიადს ორნი ვესტუმრეთ.
არჩევნებამდე ორიოდე კვირაა და-
რჩენილი. „ყველა ერი იმის ღი-
რისა, რაც დაიმსახურა. ქართველი
ერი თავისუფლებას მოიპოვებს;
ჩვენ ამ არჩევნებში გავიმარჯ-
ვებთ“, — ოპტიმისტურად უცქე-
რის მომავალს ბატონი ზვიადი.
ჩემი თანხლები მას უკითხავს
მუხრან მჭავარიანის ფუნაგორიას.
ბატონი ზვიადი იცინის. საუბარი
სხვა თემაზე გადაიქცევა. მეორე
დღეს ფილარმონიის დიდ დარბაზ-
ში, სადაც „მრავალი მაგილის“

პოლიტიკური ორგანიზაციების შე-
ხვედრაა დანიშნული, ზვიადი გა-
სახურდია იქ მყოფთა ზეპირად
უკითხავს ბატონ მუხრანის ამ ფუ-
ნაგორიას. მე განცვიფრებული
ვრჩები მისი მესიერებით.
...სააკაშრო მთავრობის მიერ
ფულის რეფორმა განხორციელდა.
იცვლება 50-იანი და 100-მანეთი-
ანი კუპონურები. არაფერ იცის, რა
„მოწყალება“ გაიღებს „ჩვენი
მთავრობა“. რამდენის გადასურ-
დავების უფლებას მისცემს ხალხს.
ეს არც ბატონმა ზვიადმა იცის:
შემთხვევით შევესწარი საუბარს.
ბატონი ზვიადი საშინლად წუხს:
— ვინც ასი ათასობით აგროვავ,
იმას რა უჭირს, ის რაღაც გზებით
მაინც მოაზრებებს გადასურდავებ-
ბას. აი, იმ საკლავში ადამიანე-
ბმა რა ჰქნან, ვინც წლობით, კა-
პიკ-კაპიკ აგროვებდა და 2-3 ათ-
ას მანეთს ძლივს მოუყარა თავი.
ეს თანხა რომ დაკარგოს, რა ეშ-
ველება, არ ვიცი. როგორი მდგო-
მარეობა მთავარი რაიონების შე-
მსახველ სალაროებსა და ბანკებ-
ში, დიდთვლობის გამო მათთან
კონტაქტის დამყარება ღირს. რა

ვქნა, რით ვუშველო ჩემს გაჭი-
რებულ ხალხს?
...ცნისვალში ვიმყოფები მივლი-
ნებით. ჩვენი ეროვნული მილიცი-
ის ბიჭები ბუზღუნებენ: საპასუხო
სროლის უფლებას არ გვაძლევენ-
ო. მე კვლავ მასწავლებელი ზოგი-
ერთი ვიი ოპოზიციონერი, რომე-
ლიც ზვიად გამსახურდიას ბრალს
სდებდა: იქ ქართული მილიცია
წესრიგის დასამყარებლად კი არა,
დამსჯელად შეგზავნაო.
...ბატონ ზვიადს შიდა ქართლი-
დან ინფორმაცია მიაწოდეს. იქ
დალუპულთა ახალი რიცხვი შეაქ-
ყობინეს. ბატონ ზვიადს სახე გა-
უფიქრებლად და თქვა, — ასე მგო-
ნია, მიკლავენ უახლოეს სისხლით
ნათესავებს.
...31 მარტია. საქართველოში
საერთო-სახალხო რეფერენდუმი
იმართება. ბატონი ზვიადი ფერდა-
კარგულია. აშკარად ეტყობა, რომ
ღელავს. გულის სიღრმეში ღრმად
დადარწმუნებული, რომ მისი
სათაყვანებელი ხალხი მხარს დაუ-
ჭერს საქართველოს თავისუფლო-
ბას, მაგრამ თვითდამშვიდებლად მა-
ინც ვერ ეძლევა. ცენტრალური



სიყვარული სიყვარულის წილ

ზღოთილდე, ახლოვდება ჩვენი ხალხისათვის მეტად მნიშვნელოვანი და ისტორიული მომენტი — საქართველოს პრეზიდენტის არჩევის დღე, 26 მაისი. ეს დღე ისედაც დაუფიქრებელია ჩვენთვის, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, როგორც ჩვენი ეროვნული გმირის, ბატონი მერაბ კოსტავას დაბადების დღე. ეს დღე ბევრს გვაგონებს და ბევრს გვაკისრებს.

ქვეყნობა, რომ ქვეყანა არაფერია დაფარული, რომელი არა გაცხადდეს, და დამაღული, რომელი არა საცნაური იყოს. ბატონი მერაბ კოსტავა და ბატონი ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები სწორედ ის პირველი ქვეყნობის მებრძოლები იყვნენ საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, რომლებმაც სასწრაფო დადეს თავიანთი სიცოცხლე საქართველოს თავისუფლებისათვის.

არ შეცდა ქართველი ხალხი. თავისუფლებისათვის დაფარული მებრძოლი წამებულ სხეული მთავრდის სალოცავ სახანს მიაბარა, ზოლო მის ნახელს საკუთარ გულში მიუჩინა ბინა.

სიყვარული იყო ეს, სიყვარულის წილ. ბატონ მერაბ კოსტავას უსასწრაფო იუყვარდა თავისი სამშობლო, ხალხი, ეროვნული მოძრაობა და არა თავისი თავი ეროვნულ მოძრაობაში.

ეროვნული მოძრაობა ბატონ ზვიად გამსახურდიას პიროვნების სახით დღეს ღირსეულ მესაქეს უყარია წელთ და მკმა არ არის, სამშვიდობოს გავიყვანს უცილობა. ნიშანდობლივია, რომ თავის ერზე ასე შეყვარებულს, ასე მხურვალედ უყვარს და ზრუნავს სხვა ეროვნებათა ადამიანური უფლებებისა და კულტურული ავტონომიის აღორძინება-დაცვისათვის.

იმედია, ხალხი ამ სიყვარულს სიყვარულთაგან უბასუხებს. ჩვენი ხალხი ბრძენია. ყოველი ძეგლბელობის ქაშის ეს მას საქმით დაუმტკიცებია. გვჯერა, მისი სწორი არჩევისა და პრეზიდენტის სავარძელს თავის ღირსეულ შვილს, ეროვნული მოძრაობის ნაცად მებრძოლს ბატონ ზვიად გამსახურდიას რომ უბოძებს.

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო აღრიცხვისა და კონტროლის მუშაკთა ასოციაცია „მამარის“ დამფუძნებელი ყრილობის სახელით.

ზაურ ჩაშანაშაძე,
ნიკო კახაბაშვილი,
ვიკი ლიპარაძე-ლიანი.
სულ 84 ხელმოწერა.

რამაზი

პასუხად ბატონ რამაზ კლიმიაშვილს.

ორშაბათს, 20 მაისს, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ვალერიან ადვადის მხარდასაჭერად ტელევიზიით გამოვიდა ინტერვიუ მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ბატონი რამაზ კლიმიაშვილი. ჩვენ, ცხადია, არ შეგუდგებით მისი საუბრის კრიტიკულ განხილვას, მხოლოდ ერთზე გვსურს მოგახსენოთ: მისი განცხადებით, დღეს საქართველოს ყველა გაზუთის რედაქციებში დევს შავი სია ზელოსუფლებისათვის მიუღებელი ადამიანებისა. ამით ახსნა მან ფაქტი, რომ მისი პუბლიკაციები იღარ ჩანს ქართულ პრესაში.

რა ვუბასუხებთ მსგავს არასერიოზულ განცხადებას, რომ ათქმევინა, ვინ, საქართველოს რომელმა „პარტიოტმა“ მისცა მას ასეთი „დასუსტებული“ ინფორმაცია, ვისადმი, დიდმა ბოლომდამოკლებიერა ეს სასწაულებრივი ბრალდება ქართული პრესის, ქართველი ჟურნალისტებისადმი?

ამით სიმართლეს რომ არ ემყარება ბატონი რამაზის გამოსვლაში აღნიშნული დანარჩენი ბრალდებები?

„ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციიდან.

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციის

თქვენი გაზეთის 1991 წ. 16 მაისის ნომერში (№ 56) დაბეჭდულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ვ. ადვადის განცხადება, რომლითაც გამოთქმულია პროტესტი იმ ალერახსნის კამპანიის წინააღმდეგ, რასაც ოფიციალური ხელი-სუფლება მისი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ იწვევს.

განცხადებას დართული აქვს სარედაქციო მინაწერი შემდეგი შინაარსისა: „13 მაისს (უნდა იყოს 11 მაისი—ო. გ.) ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინსტიტუტში მომხდარი ინციდენტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. პროკურატურის თაოვით ჩვენ თავს ვიკავებთ მისი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ვ. ადვადის მიერ მოსკოვიდან აგენტების მოწვევის ფაქტის შეფასებისაგან“.

ეს მინაწერი შეიცავს წინააღმდეგობას; ერთი მხრივ, მასში ნათქვამია, რომ „პროკურატურის თხოვნით ჩვენ თავს ვიკავებთ... ბატონ ვალერიან ადვადის მიერ მოსკოვიდან აგენტების მოწვევის ფაქტის შეფასებისაგან“, ხოლო, მეორე მხრივ, ბატონ ვ. ადვადის მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი ოთხი პირადი მცველი „აგენტებად“ არის მონათლული, რაც უკვე ნიშნავს ფაქტის შეფასებას.

გარდა ამისა, რედაქციის არავითარი საბუთი არ წარმოუდგენია იმის დასამტკიცებლად, თითქმის ბატონ ვ. ადვადის მიერ მოწვევული მცველები „აგენტები“ ყოფილიყვნენ.

ამით „ახალგაზრდა ივერიელი“ აგრძელებს იმავე ცილისმწამებლურ კამპანიას პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ, რაც თვითონ ბატონ ვალერიან ადვადის განცხადებაშია.

რედაქციისაგან: საარჩევნო კომისიის სახელით ბატონი ო. გამყრელიძე ფაქტის შეფასებას ვსაყვედურობს. კომისიის წევრებისა და ჩვენი გულწრფელი პატივისცემის მიუხედავად, საყვედურს სამართლიანად ვერ მივიჩნევთ, და აი, რატომ: რედაქციის ფაქტისათვის არავითარი შეფასება არ მიუცია და მას დაადანტურებს ნებისმიერი მკითხველი. შეფასება-კომენტარი დაახლოებით ის იქნებოდა, რომ დაგვეწერა — სწორი ბრძანდება პატივცემული ვალერიან ადვადი. ხომ აქვს ადამიანს უფლება, ვისაც ენდობა, ის ამოიყვანოს გვერდში. თუმცა, საქმე თუ ასე რთულად იყო, ალბათ, პრეზიდენტობის კანდიდატობისთვისაც კი არ ღირდა სიცოცხლის საფრთხეში ჩადება.

სიტყვა აგენტს რაც შეეხება — უვლას კარგად მოეხსენება, მაგრამ მაინც განვმარტავთ: აგენტი არის რომელიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს დავალებით და იცავს ვინმეს ინტერესებს. ამ განმარტებას ნებისმიერ ენციკლოპედიურ ცნობარში ამოიკითხავთ. ამავე დროს, ხალხში გავრცელებული შეხედულებით, აგენტი არის სამოქალაქო ტანსაცმელში (ფორმაში) გამოწყობილი, იდობის ქვეშ იარაღშემადგული, კუნთმაგარი პროფიხონალი, რომლის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი და მისი შეფების ვინაობა გასაიდუმლოებულია, ე. ი. უცხად იხეთი, ტელეკრანებზე რომ წარმოვადგენ პრეზიდენტობის კანდიდატის დამცველებს. ასე რომ, აგენტებს ჩვენ უბნის რწმუნებულება ვერ მოვიხსენიებთ. სხვათა შორის, ერთხელ იმ ოთხი კაცი-თვისაც გვეკითხა, იქნებ სულაც არ უკადრისობენ აგენტის სახელს და ჩვენ აქ ტყუილბრალოდ ვსაყვედურობთ ერთმანეთს?

ხადებაში აღნიშნული. ასეთი მოქმედება თქვენი გაზეთის მხრივ უნდა შეფასდეს ბატონ ვალერიან ადვადის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის, დისკრედიტაციის ცდად ხალხის თვალში და ამომრჩევლებზე უკანონო ზემოქმედების მოაზრებად.

გთხოვთ, აღნიშნული განცხადება გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ვალერიან ადვადის საარჩევნო კომისიის სახელით ო. გამყრელიძე

საარჩევნო ოქმიდან მოვიდა ინფორმაცია: დღის 2 საათზე მოსახლეობის 70 პროცენტზე უკვე მივიდა საარჩევნო ყუთებიანი. მაღელვრიდი უმრავლესობა ხმას აძლევს თავისუფლებას. ზვიად გამსახურდიას სახე უბრწყინდება და როცა დამსწრეებს ხმამაღლა გაამცნობს ახალ ამბავს, გუნება-განწყობილება ეცვლება. ბუნებრივად ხარობს. მე გულში მიღიმება და ის „ოპოზიციონერები“ მასხენდება, ქართველ ხალხს რომ უკეთესად, ზვიად გამსახურდიას სულივით არ სურს თავისუფლება, ნახავთ სა-საქართველო ზღაპრულუბას თუ არ მოაწერის ხელი.

...ბატონი ზვიადი უკვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა. ერთ-ერთი საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ჟურნალისტების ეხება, განსხვავებული აზრი მაქვს. ტელეფონით ვრეკავ და მიღევს გოგონას ვიზაჟი, თუ სცალია ბატონ ზვიადს, დამელაპარაკოს-მეთქი. იგი იმწამსვე იღებს ყურმილს. მე ჩემს აზრს მოვასხენებ და უმაღლეს მეთანხმება. გახარებული ვიღებ ყურმილს და გოგონა-

ბა მიპყრობს: როგორ შეიძლება დიქტატორი უწოდო კაცს, რომელიც ასე უცებ იზიარებს სხვის აზრს, რომელშიც ქვეყნობის მარცვალს ხედავს.

...ბატონ ზვიადს ურჩევია, ამხილოს კონგრესი, როგორც ფიქცია (კონგრესი რომ ფიქციაა და არ არის ქართველი ერის ერის გამომხატველი ორგანო, როგორც მას კონგრესივები უწოდებენ, ამის მხილება ძალზე ადვილია). ბატონი ზვიადი ძალზე: ამან შეიძლება ახალი უკმაყოფილება გამოიწვიოს და დღესუფლებად ამბობს უარს ასეთი ნაბიჯის გადადგმაზე.

...საუბარი ოპოზიციურ დაჯგუფებაზე ჩამოვარდა. კონკრეტულ პირებზე ვსაუბრობთ. ბატონი ზვიადი ამბობს: დამეჩქრეთ, არც ერთი მათგანი არ მძულს, პირიქით. მათ მამართ ზნობად მიუფლება სიბრძნეულის გრძნობა.

ყველაზე კარგი თვისება, რაც ახასიათებს ბატონ ზვიადს, არის ახსიათებს თანადგომის, საკუთარი ერისადმი გაწეული თუნდაც უმნიშვნელო სამსახურის დაფასება და აღიარება, ქრისტიანული გულ-

მოწყალება, ადამიანთათვის უნებლეთ ჩადენილი დანაშაულის მიტეხება. მას არასოდეს უსაყვედურობია პირადი ჩემთვის იმის გამო, რომ ნებისმიერ უნებლობით, ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის პერიოდში ხარეს ვუხდიდი არსებულ სახელმწიფოებრივ სისტემას, რომელშიც მიხედობოდა ცხოვრება. ასობით, ათასობით, ათი ათასობით ჩემნაირი ადამიანი გამოაფხიზლა ბატონმა ზვიადმა და უჩვენა ქვეყნობის გზა, მამულის, ხალხის უანგარო სამსახურის გზა. დიდ მადლობას მოვასხენებ მას ამისათვის.

დღეს ახალ პარლამენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას ბევრს უკეთესად შევადგენ მისი გზისკენ. არ მისწონს მის მიერ განხორციელებული ბევრი რეფორმა. იმას კი არავინ ფიქრობს: პრეზიდენტობის რომელიმე სხვა კანდიდატი ასე მოკლე დროში შეძლებდა ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა შიდა ქართლის პრობლემა, დაქვეყნებული ეკონომიკა, საქართველოს ფაქტობრივი თავისუფლება და მრავალი სხვა. კრიტი-

სიტყვა სხვა.

საქმე — სხვა

როგორც იქნა გვეღრისა და იმას მოგვსწავით, რომ ქართველ ხალხს, საქართველოს ყველა მოქალაქეს საშუალება მიეცა მრავალპარტიულ საფუძველზე, საყოველთაო კენჭისყრით აირჩიოს პრეზიდენტი. 26 მაისი ისეც ისტორიული დღე იყო ჩვენი და ახლა კიდევ უფრო სხივმოსილი იქნება იგი.

თუ სადმე სამართალია, ეს დიდი მოვლენა განა შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის ახლანდელი პარლამენტის დამსახურებად, ახლანდელი პრეზიდენტის (უკვე პრეზიდენტი) დამსახურებად არ მივიჩნიოთ?

არადა, როდენ საოცარიც არ უნდა იყოს საქართველოს სატელევიზიო ეკრანთან სწორედ დემოკრატიის დეფიციტზე უსაყვედურებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას პრეზიდენტობის მრავალრიცხოვანი მოსურენი.

სიტყვა „მრავალრიცხოვანი“ შეგონებებით არ მოთქვამს: ექვსი კაცი ელაგება ერთმანეთს საქართველოს პრეზიდენტის სავარძლისათვის. აბა, პრეზიდენტობის კანდიდატობაზე ნაქვ (იგიველი) ბელუსაბელმწიფოებში არჩევაზე ამდენ ერთი კვირით ადრე სად არის ზოლზე ქვეყნის პრეზიდენტობის ექვსი (!) კანდიდატი? ჩვენ ამ მხრივ გამოჩენილები ვართ. არა, იმის თქმა კი არ მინდა, რომ ცალკეულ პარტიებსა თუ ლოკებს უფლება არ აქვთ განაგრძონ ბრძოლა ხელისუფლების სათავეში მოსვლისათვის. მე სხვა რამ მაღონებს: ჩვენში, როგორც ჩანს, უფრო იმაზე კი არ ფიქრობენ, ვინ ავირჩიოთ პრეზიდენტი, არამედ იმაზე უფრო არიან გამეცადინებულები, ჩვენ ვინ ავირჩევს. ამიტომ არის, რომ მავანი, სულაც არ დავიდევს როგორია მისი და მისი მოწინააღმდეგის საზოგადოებრივი რეიტინგი.

მე პრეზიდენტობის მხოლოდ ერთ კანდიდატზე მინდა აზრი გამოთქვა, უფრო კი იმიტომ, რომ მსიცილოებით პედაგოგი ვარ და მისი პროფესიული საქმიანობა ჩემი ინტერესების სფეროში შემოდის. ეს კანდიდატი გახლავთ ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე.

მართალი გთხრათ, ფრად ვამიკვირდა, როცა მან პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა თავი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს მანამ-

დე რაიმე საზოგადოებრივ საქმიანობაში არსად გამოუჩენია თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჟურნალ „ბალავერის“ მთავარ რედაქტორობას და კიდევ ტელეექსპერტებს... აქ კი როგორ „გამოიჩინა“ თავი?

„ბალავერი“ (ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში) ქართველ მასწავლებელთათვის განკუთვნილი მეთოდური ჟურნალია, უფრო სწორად, უნდა იყოს. ამ ჟურნალის რედაქტორად ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის დანიშვნის შემდეგ ჟურნალმა ჯერ მეთოდური პროფილი დაკარგა (თითქმის ქართველი პედაგოგები განებეზვრებულნი იყვნენ სხვა მეთოდური გამოცემებით) და მერე პედაგოგებმა დაკარგეს ჟურნალი — მე-სამე წელი „ბალავერი“ არ გამოსულა.

ამ ორიოდე დღის წინათ ერთმა პედაგოგმა პრესაში საჯაროდ უსაყვედურა ამის თაობაზე ბატონ „რედაქტორს“, მან კი სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, ჟურნალის დავიანებას ობიექტურ მიზეზებიც აქვს. კი, ბატონო, დავიანებას შეიძლება ობიექტური მიზეზებიც ჰქონდეს, მაგრამ „ბალავერი“ არ გამოდის 1988 წლიდან. ახლა 1991 წელია! ამას დავიანება ჰქვია?

ისე რომ, ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე არარსებული ჟურნალის რედაქტორია და რაც უნდა მაღალფარდოვანად ილაპარაკოს ეროვნული საქმის ერთგულებაზე, არავინ დაიჯერებს მის გულწრფელობას, რამეთუ ისედაც ლატა ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურას ერთი წყაროდ დაუღწიო. აბა, ერთხანით, კაცი ათეცადიან რედაქციას რომ ვერ უხელომდგანელებს და სამ წელიწადში ჟურნალის ერთი ნომრის გამოცემას რომ ვერ მოახერხებს, ჩვეყნის პრეზიდენტობის პრეტენზია უნდა ჰქონდეს?

უნას ძვალი არ აქვს, ნათქვამია. დღეს ბევრი რამის (თუ ყველაფრის) თქმა შეიძლება, მაგრამ ხალხი იმასაც იკითხავს, სიტყვა და საქმე როგორ თავსდება ერთმანეთში ამ კაცთან. იკითხავს და პასუხის მოძებნაც არ უჭირდება.

მერაბ შავერდიაძე
თბილისის 172-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე

ნაილი რედაქციის

ხალხში აქა-იქ მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატა რეგისტრაციისათვის საჭირო ნების მოგროვებისა და მხარდამჭერთა სიების შედგენისას საპასპორტო მონაცემების ჩაწერის აუცილებლობაზე. ფიქრობ, უმჯობესი იქნება თუ პრეზიდენტობის კანდიდატთათვის ხმის მიცემისას არ მოხდება ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასპორტით და დამაყოფილებიან მხოლოდ პასპორტის ჩვენებით. ეს მეტი დემოკრატიულობის გამოვლინება იქნება.

ნიკო გელაშვილი
თელავი

საქართველოში მკვიდრდება საპრეზიდენტო ხელისუფლება. რე-სპუბლიკის უზენაესმა საბჭომ პრეზიდენტის თანამდებობის შემოღე-ბასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში შეიტანა შესაბამისი ცვლი-ლებები და დამატებები, აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პირ-ველი პრეზიდენტი, 1991 წლის 28 მარტს კი პრეზიდენტს უშუალოდ ხალხს აირჩიეს, საყოველთაო, თანასწორო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. პრეზიდენტობასთან დაკავშირებული საკით-ხების ირგვლივ ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლაშქარაშვილი.

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-ლობის აღდგენა რესპუბლიკის უზ-ენაესი საბჭომ გამოაცხადა მიმ-დინარე წლის 9 აპრილს და იმავე დღეს დაადგინა პრეზიდენტის თა-ნამდებობის შემოღება. ალბათ, ამ ორ აქტს შორის არის გარკვეული კავშირი.

— ძალიან დიდი, პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და, ბუ-ნებრივად, იგი შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ დამოუკიდებელ სახელ-მწიფოს. პრეზიდენტის თანამდე-ბობა ერის სუვერენიტეტის, მისი ერთიანობისა და სახელმწიფოებ-რიობის ძირითადი ნიშანი და სიმ-ბოლოა. საქართველოში პრეზიდენ-ტის თანამდებობის შემოღება და-ანჭარებს სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძო-ლას, ხელს შეუწყობს პოლიტი-კური ძალების კონსოლიდაციას, რესპუბლიკის საერთაშორისო ავ-ტორიტეტის ამაღლებას, მისი სა-შინაო და საგარეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

— თქვენ თვლით, რომ დამო-უკიდებლობის აღდგენის დეკლარ-აციის გამოცხადებით საქართვე-ლო დამოუკიდებელ სახელმწიფო-დ იქცა?

— დამოუკიდებელ სახელმწი-ფოდ არ იქცა, მაგრამ ძალიან დი-დი ნაბიჯი გადადგა სრული და რე-ალური დამოუკიდებლობის მისა-ღწევად. დამოუკიდებლობის აქტი წარმოადგენს სამართლებრივ სა-ფუძველს, რაზედაც უნდა აშენ-დეს საქართველოს სრული სახელ-მწიფოებრივი დამოუკიდებლობა-სი შენობა. ამ აქტით გამოხატუ-ლია ქართველი ერის, საქართველო-ში მცხოვრები ყველა ხალხის ნა-მდვილო და შეუქცევადი ნება, გა-წყვეტილია ჯაჭვი, რითაც საქართვე-ლო იყო იმპერიალისტურ მიზნული. აქტის გამოცხადება მოხდა ერთ-ეული და საერთაშორისო სამა-რთლის ნორმების სრული დაცვით. ამ აქტმა გზა გაუხსნა გაეროსა და მასში გაერთიანებულ სახელმწი-ფოებს, მათ შორის სსრ კავშირს, ცნონ საქართველოს დამოუკიდებ-ლობა, საქმით დაამტკიცონ სა-ხელმწიფოთაშორის ურთიერთობ-ების სფეროში საყოველთაოდ აღ-იარებული პრინციპების პატივის-ცემა და ერთგულება.

დამოუკიდებლობის აქტის გა-მოცხადებას ჰქონდა უდიდესი ზე-ნეობრივი მნიშვნელობა. უზენაესი საბჭოს წევრებმა ფეხზე ადგომით ტაშითა და ოვაციებით მოიხი-ნეს და დამატკიცეს აქტის შინა-რი. სხდომის დამთავრების შემ-დეგ მათვერბის სახლის წინ გაი-მართა ზალხმზავალი მიტინგი, უფ-რო ზედიზედ, ამავე, ძლიერი და ლამაზი ქართველობა არასოდეს მინახავს. თავის გამოსვლაში ბა-ტონმა აკაქი ასათიანმა სამართლი-ანად შენიშნა საქართველოს ტაძ-რებისა და მონასტრების ფრეს-კებს გვაგართო. ერთმა მანდილო-სანამ ისიც თქვა, ნეტა აქ იყვნენ ისინი, ვისზეც ჩვენი თავისუფ-ლება დამოკიდებული, ნუთუ არც ახლა დაგვანებდნენ თავს.

— დიდ ხიზარულს ხედავთ დი-დი ახლდა. ცხრა აპრილი ზომ უო-ველთვის დაგვასვენებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ ბა-რბაროსულ დანაშაულს.

— რასაკვირველია, სევედაც დი-დი იყო. წლებადღეს ცხრა აპ-რილს ბატონმა ზეილდამ ტრემო-ნარევი სიხარულის ღღე უწოდა. ამ სიტყვებით ყველაფერია ნათ-ქვამი. ცხრა აპრილი საქართველოს მოსახრენელი ტკივილია, ქართვე-ლი ერის მესხიერებაში იგი არა-სოდეს წაიშლება. ცხრა აპრილის გასწვრივზე მავანი და მავანი ამ-ოდ ვარდება ისტერიკაში, ამოდ ცდილობს საპარლამენტო კომი-სიებისა და პროკურატორის თაღ-ითური დასკვნების მოშველი-ებით ყველაფერი დამთავრებულია წარმოადგინოს. დღეს კი არა, ასრ და ათასი წლის შემდეგ რომ და-იბადებინან ქართველები, იმათაც შეაწუხებთ ცხრა აპრილის ტკი-ვილი და ჩვენ ვალდებული ვართ

ით დამთავრდება ყველაფერი, ხო-ლო თუ პრეზიდენტმა გაამართლა ნობა, რატომ უნდა ჰქონდეს ხალხს წარმომადგენლობითი პიროვნება რამდენჯერაც სურს, იმდენჯერ აირჩიოს? სხვათა შო-რის, ამერიკის შეერთებული შტა-ტების კონსტიტუციის ოცდამეო-რე შესწორება, რომელმაც ერთი და იგივე პირის საპრეზიდენტო უფლებამოსილება მხოლოდ ორი

ნების მოწყობასა თუ საარჩევნო ყუთების მითხრის მოქმედი კანონ-მდებლობა არ ითვალისწინებს. მა-რთალია, არჩევნებში მონაწილეობა დიდი პოლიტიკური უფლებაა, მა-გრამ არანაკლები სიკეთეა პირა-დი თავისუფლება, რომლის აღკ-ვეთაც დასაშვებია ბრალდებულის, სისხლის სამართლის პასუხისგება-ში მიღებული პირის მიმართ. რა-საკვირველია, წინასწარი პატიმ-რობა არ წარმოადგენს სასჯელს და არც წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი ითვლება დამნაშა-ვედ. პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სისხლის სამართლის სა-სჯელის შეფარდება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. მაგრამ წინასწარი პატიმრობა მაინც თავისუფლების აღკვეთაა, რაც თავისთავად იწვევს სხვა პო-ლიტიკური უფლებების და თავი-სუფლების შესრულებას.

— გაგრძელებულია აზრი, თი-თქმის საზღვარგარეთის ქვეყნებში პრეზიდენტად ან პარლამენტის წევრად პატიმრის არჩევა ჩვეუ-ლებრივი მოვლენა იყო.

— ასეთი რამ მე არც გამოვი-და არც წამიგონებია. ის კი ვიცი, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა ძალიან დიდ მო-თხოვნებს უყენებს პრეზიდენტო-ბისა თუ პარლამენტის წევრობ-ის კანდიდატს. მაგალითად, იტა-ლიის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ მხოლოდ ის, ვინც სრულად სარ-გებლობს სამოქალაქო და პოლი-ტიკური უფლებებით. ფინეთში პრეზიდენტობის კანდიდატად შე-იძლება წამოაყენონ მხოლოდ ის მოქალაქე, რომელიც ცნობილია თავისი პატიოსანებითა და უმწიკ-ლო რეპუტაციით. ბოლივიაში დაუშვებელია პრეზიდენტად იმ პირის არჩევა, ვინც მიცემულია სამართალი ან ადრე იყო დას-ჯილი კრიმინალური დანაშაულისა-თვის. ან რად გინდა ასე შორს წასვლა. საქართველოს დემოკრა-ტიული რესპუბლიკის დამფუძნე-ბელი კრების არჩევნების დებუ-ლებაში საგანგებოდ იყო მითითე-ბული, რომ არჩევნებში მონაწილე-ობის მისაღებად არ დაიშვებიან ისინი, ვინც აღნიშნული დრო-ითის ადმინისტრაცია თავისუფლე-ბადაცხვეთი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ან იმის გამო, რომ პასუხისგებაში მიცემული როგორც ბრალდებული და მის მიმართ აღკვეთის ღონის-ძიებად დატუსაღება გამოყენებუ-ლი.

— თანამდებობის დაკავების დროს საქართველოს რესპუბლიკის პრე-ზიდენტი დებს ფიცს რესპუბლი-კის უზენაესი საბჭოს სხდომაზე, რა ფიცზეა ლაპარაკი და როგორ უნ-და გავიგოთ კონსტიტუციის ეს დებულება?

— ლაპარაკია იმაზე, რომ ხალ-ხის მიერ არჩეული პრეზიდენტი თანამდებობის დაკავებისას ფიცს დებს, რომ პირნათლად შეასრუ-ლებს თავის მოვალეობას. ფიცის ტექსტი კონსტიტუციაში არ არის მოცემული, და, ჩემი აზრით, არც არის ეს საჭირო. პრეზიდენტად არჩეული მოახრებებს რა და რო-გორ დაიფიცოს. სხვათაშორის, ზოგაერთიან სახელმწიფოს კონსტი-ტუციით პრეზიდენტის ფიცის ტე-ქსტი დადგენილია. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კონგრესის წინაშე ასეთ ფიცს დებს: „საზეიმოდ ვფი-ცავ, რომ პატიოსნად შევასრულებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობებს და მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ ქვეყ-ნის კონსტიტუციის დაცვასა და შესრულებას“. ფიცის დადება

დამთავრდება ყველაფერი, ხო-ლო თუ პრეზიდენტმა გაამართლა ნობა, რატომ უნდა ჰქონდეს ხალხს წარმომადგენლობითი პიროვნება რამდენჯერაც სურს, იმდენჯერ აირჩიოს? სხვათა შო-რის, ამერიკის შეერთებული შტა-ტების კონსტიტუციის ოცდამეო-რე შესწორება, რომელმაც ერთი და იგივე პირის საპრეზიდენტო უფლებამოსილება მხოლოდ ორი

პრეზიდენტის თანამდებობის და-კავებას აძლევს საზეიმო ელფერსა და განწყობილებას, მას აქვს მხო-ლოდ ზეგონიერი მნიშვნელობა და არავითარ სამართლებრივ ურთი-ერთობებს ან პასუხისმგებლობას არც წარმოშობს და არც აუქმებს.

— საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება გადააყე-ნოს მხოლოდ საქართველოს რეს-პუბლიკის უზენაესი საბჭომ მის მიერ სამშობლოს დაცვის ჩადე-ნის შემთხვევაში. რას ნიშნავს ეს დებულება, ნუთუ პრეზიდენტი სხვა დანაშაულების ჩადენისათვის არ აგებს პასუხს?

— დანაშაულისათვის პასუხს ყველა ერთნაირად აგებს. აქ სხვა რამეზეა ლაპარაკი. თითქმის ყვე-ლა ქვეყანაში არსებობს პრეზიდენ-ტის საპარლამენტო პასუხისმგე-ბლობის წესი და პროცედურა. ამ წესს იმპრინგენტი ეწოდება და მი-სი არის ისა, რომ განსაკუთრე-ბით მძიმე დარღვევისა თუ დანა-შაულისათვის პრეზიდენტმა პასუ-ხი უნდა აგოს, უწინარეს ყოვლი-სა, პარლამენტის წინაშე. მაგა-ლითად, იტალიაში პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე პასუხს აგებს სახელმწიფოს ღალატისა და კონ-სტიტუციის ხელყოფისათვის, გე-რმანის ფედერაციულ რესპუბლი-კაში — კანონის განზრახ დარღ-ვევისათვის, საფრანგეთში — სამ-შობლოს ღალატისათვის. როგორც ვხედავთ, ლაპარაკია არა კონკრე-ტულ დანაშაულზე, არამედ ზოგადი ხასიათის დარღვევებზე და ნორ-მტომქმედებებზე. საფრანგეთის სი-სხლის სამართლის კოდექსში სამ-შობლოს ღალატის ცალკე შემად-გენლობა საერთოდ არ არსებობს. ასეა თუ ისე, პრეზიდენტის პასუ-ხისმგებლობის საკითხს განიხილავს პარლამენტი და დამნაშავედ ცნო-ბის შემთხვევაში გადაყენებს თა-ნამდებობიდან, რის შემდეგ საქ-მის წარმოება სასამართლო წესით გაგრძელდება. იმპრინგენტის წესით პრეზიდენტის პასუხისმგებლობაში მიტე-მა მტკიცე იმედიანია. ამერიკის შეერ-თებულ შტატებში პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო 1825 წელს, საფრანგეთის საპარლამენ-ტო პრაქტიკაში კი ასეთი რამ სა-ერთოდ არ მომხდარა, ალბათ, არც ჩვენ გავიწყდება დემოტი და არც ჩვენი პრეზიდენტები ჩაიდ-ნენ სისხლის სამართლის დანაშა-ულს, მით უმეტეს სამშობლოს ღალატს.

— საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს საქა-რთველოს რესპუბლიკის მთავრო-ბის თანამდებობისა და საქა-რთველოს რესპუბლიკის უზენაე-სი საბჭოს თავმჯდომარისთან კონ-სულტაციების შემდეგ დაითხოვოს საქართველოს რესპუბლიკის უზე-ნაესი საბჭო და დანიშნოს ახალი არჩევნები. ეს ნიშნავს გამოიწვევს იმას, რომ უზენაესი საბჭო იქნება პრეზიდენტის მორჩილი, მისი ნების უსიტყვოდ შემსრულებე-ლი?

— პრეზიდენტიც და უზენაესი საბჭოც, უწინარეს ყოვლისა უნდა იყვნენ ქართველი ხალხის ნების გამოხატველი და შემსრულებე-ლი. პრეზიდენტსაც და საბჭო-საც ირჩევს ხალხი, ამომრჩეველია ერთი და იგივე კორპუსი. ამიტომ მათი ყოფნა-არყოფნის საკითხიც ხალხზეა დამოკიდებული. პრეზი-დენტს თუ პარლამენტის დათხო-ვის უფლება არ ექნება, მის ცალ-კე არჩევასაც აზრი ეგარება. პრე-ზიდენტის ძლიერი, უშუალოდ ხა-ლისაგან მიღებული ხელისუფ-ლება იმითმამა საჭირო, რომ ერ-ისა და ქვეყნისათვის კრიტიკულ სიტუაციაში აღკვეთოს საპარლა-მენტო კინკლაობა, ცალკეულ პი-რობა თუ პარტიული ამბიციები. პარლამენტის დათხოვის უფლება თითქმის ყველა საპრეზიდენტო რესპუბლიკის მეთაურს აქვს, მა-გრამ ამ უფლებას პრაქტიკაში იშ-ვითად იყენებენ, მას უფრო გა-მაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს. ალბათ, ასე იქნება საქარ-თველოშიც. ისე კი, სასურველია, კანონით იყოს განსაზღვრული თუ როდის და რა შემთხვევაში შეუ-ძლია პრეზიდენტს მიიღოს გადა-წყვეტილება უზენაესი საბჭოს და-თხოვის შესახებ. საერთოდ კარგ-ი იქნება თუ მივიღებთ სპეციალურ კანონს პრეზიდენტის შესახებ, სადაც უფრო დეტალურად იქნე-ბა განმარტებული საპრეზიდენტო ხელისუფლების კონსტიტუციური ნორმები, პრეზიდენტის ხელშეუ-ხებლობისა და სოციალური დაც-ვის გარანტიები.

— ბატონო პაატა, დავკვირვებულ მკითხველს უთუოდ ეს-
სომება ამ 2-3 წლის წინათ რესპუბლიკურ პრესაში გამოქ-
ვევებული თქვენი და ბატონი სერგო რუხაძის წერილების
სერიალი, საქართველოს სოფლის მეურნეობის საკუთრებო-
რტო საკითხებს რომ ეძღვნებოდა. ერთი სიტყვით, არასწორ
აგრარულ პოლიტიკას — მარცვლელული და პარკოსანი კუ-
ლტურებისადმი, სოფლის მეურნეობის მესვეურთა უყურა-
დღეობას ვანხილდით, ამ დარგების აღორძინების საშუალე-
ბით, ხალხის დაპურების და მეცხოველეობის აღმავლობის
ორგანიზაციულ კონცეფციას გვთავაზობდით. უნდა ითქვას, ეს
დროც თქვენს სახარგებლოდ წარმატდა. ამიტომ ნება მო-
მეცით გკითხოთ — როგორ განსჯის საქართველოს რესპუ-
ბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, აგრარული რეფორმის კო-
მისიის თავმჯდომარე ბატონი პაატა კოლუაშვილი ადრინდელ-
ლი აგრარული კორესპონდენტის ნაფიქრ-ნააზრებს?

— მთელი გულხაზილით უნდა ვთქვა, რომ განვილ-
ამ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა მოსაზრება იმის შე-
სახება, რომ ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურა-
დღეობით უნდა მოვეყვითოთ მარცვლელული მეურნეობისა და
მეცხოველეობის აღმავლობის პრობლემას. ბოლო უნდა მო-
ელოს არასწორ აგრარულ პოლიტიკას — დაუშვებელია
ხელგაწვდილი ვეძებდეთ პურს, ზორცს, რძესა და რძის
პროდუქტებს, სამაგიეროდ მოგვყავდეს ჩაი, ციტრუსი, ხი-
ლი, ყურძენი, ღვინო და ვეხვეწებოდეთ სხვას, ინებეთ, გა-
გვისაღეთო.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ
მოიძებნება ანალოგი ქვეყანა დიდი თუ მცირე, რომელსაც
ასე სხვისი სურვილების დამაკმაყოფილებლად ჰქონდეს აგე-
ბული სოფლის მეურნეობა. თვით აშშ-ც კი, მიუხედავად
უაღრესად ზედასყრელი კლიმატური პირობებისა, მარცვ-
ლელისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება იყო
და არის მთავარი სასაქონლო დარგები. კვლავ მინდა გავი-
მეორო, რომ ჩვენ რეალური შესაძლებლობები გავვაჩნი-
ოთ სათვის, რომ მარცვლელის წარმოება ავიყვანოთ 2 მი-
ლიონ ტონამდე.

გასათვალისწინებელია მსოფლიო ბაზარზე მარცვლელის
სულ უფრო მზარდი ფასები, ანდა სსრკ მთავრობის დად-
გენილება „რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე“ გადასვ-
ლის კონცეფციის შესახებ, სადაც ნათქვამია: რესპუბლიკე-
ბმა საკუთარი ვალუტით უნდა შეიძინონ საზღვარგარეთი-

პროგნოზი

პური ჩვენი არსობისა

გვესაუბრება საპარტევლოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს აგრარული რეფორმის კომისიის თავმჯდომარე
ბატონი პაატა კოლუაშვილი.

დან მარცვლი. აქვე გვასხენდება ჩვენი არც თუ ისე შო-
რეული წარსული:

დამოუკიდებელ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვა-
ნეს პრობლემად მოსახლეობის პურით მომარაგება გაუხდა,
მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეუწყვიტა იგი. რესპუბლიკის მთა-
ვრობის წარმომადგენლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში
ცდილობდნენ მარცვლის შოვნას. კ. გვარჯალაძე ლონდონიდან
წერს კ. ჩხეიძეს პარიზში: „პურს თუ არ იქნება გაგზავნი-
ლი ჩვენში, ჩვენ დამოუკიდებლობას ადვილად წაიღებენ ბო-
ლშევიკები“. ეს წერილი 1920 წლის 7 იანვარსაა დაწერი-
ლი...

როცა აღნიშნულის შესახებ ვწერდით, ბუნებრივია, ვგუ-
ლისხმობდით, როგორც ნათესი ფართობის გადიდებას, ისე
ინტენსიფიკაციის ფაქტორების რეალურად ამოქმედებას. ყო-
ველივე ამას, ცხადია, სჭირდება კარგ მეცნიერულ დონეზე

დასაბუთებული პროგრამის დასახევა-განხორციელება.
გორც ეკონომიკურ, ისე ეკოლოგიურ საფუძველზე. აქვე
ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ასეთნაირად
შეწონასწორებული, დასაბუთებული პროგრამაა საჭირო.
მაგრამ ეს პრობლემის ერთი მხარეა. უფრო მეტი მნიშვნე-
ლობისა გახლავთ ასეთი პროგრამის რეალურად განხორციე-
ლება.

აი, აქ მინდა ვთქვა, რომ ვიდრე ჩვენ არ მივიღოთ იმის
აღიარებადღე, რომ ყველგან — განურჩევლად ბარისა თუ
მთისა აუცილებელია სწორი, რაციონალური თესლბრუნვის
შემოღება-ათვისება და ვიდრე პრაქტიკულად არ მოვკი-
დებთ ხელს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებუ-
ლი ზონალური თუ მიკროზონალური სისტემების შემუშავე-
ბა-დაწერვას, საქმე ადგილიდან არ დაიძვრება. ყოველივე
ამას დრო სჭირდება, მაგრამ გადადება ათარ შეიძლება.

ამასთან, მარცვლელის წარმოების რაოდენობრივი მზა-
რე ერთია, არანაკლებ (შესაძლოა უფრო) მნიშვნელოვანია
კი, არის ისეთი საფურავე დანიშნულების მარცვლელის
წარმოება, რომელიც შეგვივსებს ცილის დიდ დეფიციტს.
და ვიდრე არ გადავჭრით ამ პრობლემასაც, ჩვენ ვერ შევ-
ძლებთ მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო წანამ-
ძურების შექმნას. მაშასადამე, საჭიროა მეორე პროგრამის
შემუშავება-განხორციელება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს
— „მეცნარეული ცილა“.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ცხადია, სხვა პრობლე-
მათა მოგვარებაცაა საჭირო, ისეთების, როგორიცაა — საე-
ვებო ბაზის განმტკიცება, საშინაო საქმის მეცნიერულ საფუ-
ძველზე მოწყობა და სხვა. აქ მხოლოდ ზოგიერთი, უმთავ-
რესთაგანის სქემატურ ჩამოთვლზე თუ შეიძლება საუბარი.
საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი
ლონისძიებებია განსახორციელებელი — ჩვენი რესპუბლიკის
შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმდიდ-
რის — ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ძირეული გაუმჯო-
ბესებისათვის. რადიკალურად უნდა შეიცვალოს მინდვრად
საკვებწარმოება, ხოლო სოიოსა და იონჯას კულტურებს
კუთვნილი ადგილი მიაცუთვოს. სერიოზული სამუშაოებია
შესასრულებელი სანამშენო საქმის რეორგანიზაციისა და სა-

(დასასრული მე-7 გვ.)



პოპი სერგულაძე

ახალგაზრდა კაცის სიკვდილი
ყოველთვის დიდი ტკივილია. და
ეს ერთი-ორად უფრო მტკივნეუ-
ლია, როდესაც საკუთარი სურვი-
ლით ხდება.
სწორედ ასეთი ტკივილი მოგ-
ვაყენა ჩვენი მეგობრის — გოგი
სერგულაძის ტრაგიკულმა და-
ღუპვამ.
მთელი თავისი ცხოვრების მა-

ნიძლე — ბიჭობაშიც და კაცო-
ბაშიც — გოგი გამოჩენილი იყო.
მისი განსაკუთრებული ცხოვრე-
ბული ალღო, თანდაყოლილი
ბუნებრივი ნიჭი და შინაგანი კუ-
ლტურა, გამბედაობა და საკუთარ
პიროვნული ძალის საოცარი
შეგრძნება საშუალებას და ალ-
ბათ, უფლებასაც აძლევდა ყოფი-
ლიყო პირველი ყველგან და ყვე-
ლაფერში.

მისი ყოველი ცხოვრებისეული
ნაბიჯი იყო ნიშნული იმისა, თუ

როგორ შეიძლება ახალგაზრდა
კაცმა დამოუკიდებლად და ამავე
დროს საკმაოდ მძლავრად იაროს
ცხოვრების ურთულეს გზაზე.
და რაოდენ სავალალოა ის,
რომ დღეს, როდესაც ჩვენს ერს
ასე სჭირდება ყოველი ქართველი
კაცის სიცოცხლე, გოგი სურგუ-
ლაძის სახით მას დააკლდა ისეთი
ძალი და ენერგია, რომელსაც ბე-
ვრი, ძალზედ ბევრი შეეძლო გა-
ეკეთებინა.

გოგი! ცხოვრებაში ბევრი გასა-

ჭირო გინახავს და ყოველთვის
კაცურად გადაგილახავს. ალბათ
ამიტომაც შენს ბოლო დროის
სულიერ განცდებს გვეგონა შე-
ნებურად მარტო გადალახავდი.
ვაი, რომ შეეცდი და გასაჭირში,
სხვებზე იმედით, მარტო დაგ-
ტოვებო.

განახსოვდეს, როცა სიცოცხლე
იწყება, შენ ის დაამთავრე. ალ-
ბათ ამაშიც რაღაც დიდი აზრი
ჩაღე, რასაც ყვერგვრებით ვერ
გხვდებით.

მეგობრები

შანსი

თქვენ პასუხი
უნდა გასცეთ
ერთადერთ კითხვას

გამოკითხვაში გაპარჯვებულს—
საქართველოს ყველაზე პოპულარულ
პიროვნებას—გაზეთი „შანსი“
გადასცემს უნივერსალურ ფაქსს

FAX-270S "CANON"

რომლის საბაზანსო
ღირებულებაა

50000

განეთი

კომპარსიული

ღირებულება


75000

განეთია

ექვანება მიწაბ სოსტავეას ხსოვნას

გამოკითხვა-კონკურსი

ვინ არის გოლო ერთი წლის განმავლობაში—
1990 წლის 26 მაისიდან 1991 წლის 26 მაისამდე—
ყველაზე პოპულარული ადამიანი საქართველოში?





სომ არ აჯობებდა, რომ არ დაეხდებოდა?

„ახალგაზრდა ივერიელი“ 7 მაისს, გამოქვეყნდა ბატონ ჯამბაყურ ბაქრაძის მიმართება პრეზიდენტობის კანდიდატურისადმი, რომელიც მოითხოვს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატურას, გარდა ერთისა (ის „ერთი“, ვინ ჰყავს მხედველობაში არ ასახელებს), მოხსნან თავიანთი კანდიდატურა.

მე, ყოფილი პოლიტპარტიმარი, რომელმაც ათი წელი ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში კატორღულ შრომაში გაატარე, მხურვალედ ვუჭერდი მხარს მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას. დღესაც ახალგაზრდა ენერგიული გემსახურები განახლებულ სამშობლოს და დიდ იმედს ვამყარებ ჩვენი პრეზიდენტის პიროვნებაზე. ყოველივე ეს უფლებას მაძლევს განაცხადო შემდეგი:

სამწუხაროა, რომ ასეთი მიმართება პრესაში გამოქვეყნდა, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, როცა ამ მიმართვის ავტორი საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარეა. იმ კოლეგიისა, რომელიც თვალსწინისადაა უნდა უფროსი ლეგალური ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში ახლანდელ მოქალაქეებზე დემოკრატიულ ყლორტებს.

რა დავარქვავთ დემოკრატიის კანდიდატურისადმი ასეთ მიმართებას: „არჩევნებში დამარცხებით, გულნატკენი დარჩებით და ამის გამო დაუპირისპირდებით მთავრობას“. ვფიქრობ, ასეთი ცინიკური, წინასწარმეტყველური განაცხადის გამოტანა არ ეკადრება ბატონ ადვოკატისადმი ისეთ ცნო-

ბილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორებიც არიან ბატონი ირაკლი შენგელია, ნოდარ ნათაძე, ვალერიან ადამაძე.

ანდა კიდევ: „გთხოვთ, მოხსნათ თქვენი კანდიდატურები (ჩემის აზრით ერთის გამოკლებით)“.

ეს ხომ ბატონი ზვიად გამსახურდიას პიროვნების შეურაცხყოფა და მის მიმართ დათვრილი საშინაო გაწვევაა.

იმ აღმზანს, რომელმაც 28 ოქტომბერს, პოლიტიკური რევოლუცია მოახდინა საქართველოში, ნულამდე დაიყვანა კომუნისტური პარტიის ძალა და გავლენა ხალხში, არ ესაჭიროება ასეთი იაფფასიანი ადვოკატები.

— ასწონ-დასწონეთ ყოველივე თქმული და არა თქმული, — ურჩევს ბატონი ჯ. ბაქრაძე დემოკრატიის კანდიდატებს.

კი ბატონო, „თქმული“ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ „არა თქმული“ არ არის ძნელად მისაგებდრი: თქვენს ამ პატარა ორ აბზაცთან „მიმართებას“ მუქარის ტონიც დაჰკრავს, დემოკრატიის აბუჩად აგდების პრეტენზიაც აქვს და საკუთარი თავის შეურაცხყოფის როლშიც გამოჰყავს მისი ავტორი.

პატივი ვცემთ პოლიტიკურ მოღვაწეთა პიროვნებას, სათუთად მოვეპყრათ ახლად აღორძინებულ დემოკრატიას.

შოთა შავკულიძე.
პედაგოგი, პოლიტიკური პარტიის მხვედრადი საქმის წევრი

სოხა!!!

საუბრის საიდუმლოება დაცული იქნება.

თუ თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ კრიზისულ სამსახურთან უშუალო კონტაქტი, შეგიძლიათ მომზადდეთ სათნოების სახლის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტში. აქ თქვენ გე-

ლიან ექიმი ფსიქოლოგ-პედაგოგი, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაოების მეთოდები.

დახმარება უსასყიდლო და ანონიმურია.

კაბინეტი მუშაობს 15-დან 19 საათამდე, გარდა შაბათისა და კვირისა.

დავით აღმაშენებლის პროსპექტი 121 (შესასვლელი 26 მაისის ქუჩიდან).

მომზადდით და იგონებთ, რომ სათნოების სახლში თითოეული თქვენგანისათვის მოიძებნება სიტბო და ნუგეში.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, აწ საქართველოს პარლამენტად წოდებულმა, მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ა. წ. 26 მაისს გაიმართოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საერთო სახალხო არჩევნები.

მას შემდეგ, რაც 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ აირჩია საქართველოს უზენაესი საბჭო, მოვლენათა ამგვარი განვითარება ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ნაწილმა, რომელმაც გადაუხვია დამპყრობელთან შეუღლებულ უკომპრომისო ბრძოლის გზას და აირჩია საბჭოური ხელისუფლების სტრუქტურებში შესვლა, უზენაეს საბჭოში ადგილების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების მიუხედავად ვერ შეძლო რაიმე ხელშეწყობის ცვლილებების გატარება; დამოუკიდებლობისაკენ გზის მიზანმიმართული პოლიტიკური გეზის უქონლობამ, მხოლოდ კრემლის სვლესა და პროვოკაციებზე რეაგირებამ (მაგ. ჯერ რამდენიმეწლიანი გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის საპასუხოდ 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება, რომლის არავითარი იურიდიული საჭიროება არ არსებობდა, შემდეგ კი 9 აპრილს სა-

დასაქვრ კამპანიაში. ჩვენ განსაკუთრებით გვაოცებს საქართველოს ეროვნულ კონგრესში წარმოდგენილი იმ პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია, რომლებმაც აღიარეს, რომ ანექსირებულ ქვეყანას ოკუპაციის მძიმე პირობებში არ შეიძლება პყავდეს პარლამენტი, როგორც დემოკრატიული წესითაც არ უნდა იყოს ის არჩეული — სუკის რეზოლუცია „საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მისი საქმიანობის თაობაზე“. სწორედ ამ „პარლამენტის“ მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობით სურთ მათ დააგროვონ საეკვო პოლიტიკური კაპიტალი და ჩიუტდ არ ამჩნევენ იმ ტრაგიზმამდე მისულ აბსურდულ მდგომარეობას, როდესაც ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყანაში ირჩევა ამ ქვეყნის პრეზიდენტი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, რომელიც ყოველთვის ერთგულია თავისი პრინციპებისა და სტრატეგიული გეზისა, საქართველოს მთელ მოსახლეობას და ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციას მოუწოდებს აქტიური ბოიკოტი გამოუცხადოს და ნუ მიიღებს მონაწილეობას 1991 წლის 26 მაისს დანიშნულ ე. წ. პრეზიდენტის არჩევნებში.

დღე, ჩვენი ძალისხმევა გავეერთიანოთ არა ცრუარჩევნების, არამედ ჭეშმარიტი ეროვნული დაუმორჩილებლობის მომზადებისა და განხორციელებისათვის.

თბილისი, 10.05.91.

შანსი

ეძიებთ იმარა პოსტაჟს სსრკ-ს

გამოკითხვა-პოვნისი

კონკურსში გააგრძელებისათვის საჭიროა სერიისა და მიწოდება ხუთი ნომრის გამოცემა. გზავნილებს მხოლოდ ამ იმაროვიზებული კონკურსით მივიღებთ, რომელზეც საზოგადო დაგდა მხოლოდ 25 მაისამდე უნდა აღინიშნავოდეს.

და კიდევ... გავით „ახალგაზრდა ივერიელი“ და ახალგაზრდულმა კომარტულმა ფირმა „კომარტულმა“ დააწესა საპიციალური პრიზი — იაკონური წარმოების დიპლომონი, რომელიც გადაეცემა პირველმა, ვინც ათ სტროფში ყველაზე უკეთ გამოხატავს კონკურსში გააგრძელების პიროვნების სიტყვიერ პორტრეტს. აბრეშვი, 26 საუკეთესო ჩანახატი გამოა ვეყვდება გავით „ახალგაზრდა ივერიელისა“ და „შანსის“ ფურცლებზე. კონკურსის შედეგებისა და ანაბატ-ლაბარების გათავაშვების თარიღს დაგატებით გაცნობავთ.

ბათონი, პიკასო

კონკურსი — ანკა

თქვენი პირი, ვინ არის კოლო პირი
ფოტო განკარგულა, 1990 წლის 26 მაისიდან
1991 წლის 26 მაისამდე, ვალაჟა
კონკურსი ანკა

სერიის ნომერი:

1	2	3	4	5	
6	7	8	9	10	
11	12	13	14	15	
16	17	18	19	20	
21	22	23	24	25	26

გადაღობი!

იქმარათ, 25 მაისი კონკურს-გამოკითხვაში მონაწილეობისათვის უკანასკნელი დღეა. გააგრძელების შემთხვევაში თქვენ გალით დიდი ფულადი ჯილდო.

კონკურსის შეესების წესი:

გარკვევით ჩაწერათ, თქვენი აზრით, საქართველოს ყველაზე კოკულარული პიროვნების სახელი და გვარი კონკურსში ამისათვის გამოყოფილ ადგილზე.

აღნიშნული სამი სერიიდან შემოგზავთ ერთი, 26 ნომრიდან კი ჯგერადინად გადახაბთ ზვიდი წრე.

კონკურსი ამოქმადი, დააწვადთ, დააპარით მარაა და გამოგზავნით რადაცინაში: წარიღების გამოგზავნის პოლო ვადაა 25 მაისი (რათვლით).

არ დაგავიწყდეთ თქვენი სახელის, მამის სახელის, გვარის და მისამართის აღნიშვნა

გისუკავებთ
ნაკრებებს

დასასრული

დღეისო, მეცნიერული მიღწევების მოთხოვნათა შესაბამისად. მეცნიერებებში უპირატესი განვითარება უნდა მიიღოს მეტეოროლოგიის მიმართულებით.

ვეფეროზი, ჩვენი მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობაში სხვა ბევრი პრობლემატიკა ეკუთვნის სწორედ მეტეოროლოგიას. კერძოდ, მეფრინველეობა და სატორე მეფრინველეობა, როგორც სწრაფი უფრო და სწრაფი მეფრინველეობა და მეფრინველეობა, რომელიც განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებია რე-სპუბლიკაში, მეტეოროლოგიის თვისი პრობლემატიკით, ჩვენ ზომითი თითქმის უფროაღივლებით გვაქვს მიტოვებული 2 მლნ ჰექტარი ბუნებრივი საკვები საფარეოები. ოპტიმალური სიდიდე-მდეა დასაყვანი ჩაის, ვენახებისა და ხეხილის ფართობები.

ზოლო კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება იმ დონეზე უნდა გაიზარდოს, რაც საკმარისი იქნება მათზე მო-თხოვნილების დასაფარავად. საქართველოს არ უნდა შემო-ქონდეს სხვა ქვეყნებიდან ზაზვი, ნიორი, კომბოსტო, სტა-ფილო, სუფრის ქარხალი. ასევე მოსაფრინველია საკონსე-რვო მრეწველობის რეორგანიზაცია იმ მიმართულებით, რომ დაეფუძნოს ხილის შეჭრის (ფრუქტოზის), მღებავი ნივთიე-რებების და პექტინის წარმოება.

ფრიალ სასურველი და სასარგებლო იქნება თუ რესპუ-ბლიკის მთავრობა მიწის რეფორმის განხორციელებამდე, ადგილობრივი პირობებისა და სიტუაციების გათვალის-წინებით მოახდენს საკარმადმო მიწის ფონდის შექმნასა და გამოყოფას იმ რაიონებშიც კი, სადაც არ არის თავი-სუფალი მიწის ფონდი, იქ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი მიწებიდან შექმნა, იმის გათვალისწინებით, რომ პირად მე-ურნეობაში ყველა პირობა მიწის საფარეოს ღირსეუ-ფიერად გამოყენებისათვის. აქვე გასახსენებელია ისიც, რომ 60-იანი წლების დასაწყისში რესპუბლიკის მოსახლეობას სა-კარმადმო ნორმის (1-0,75 ჰა) შემცირებით (0,25-0,15 ჰა) ჩამოეჭრა 39 ათასი ჰექტარი.

ცხადია, ამას დასჭირდება შესაბამისი ცვლილებების შე-ტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში.

აგრარული სექტორი მოითხოვს მისთვის კუთვნილ პრი-ორიტეტულ განვითარებას.

— იქნებ მკითხველს გააცნოთ თქვენდამი რწმუნებული კომისიის მუშაობის ძირითადი მიმართულება — ვინა ხართ, რასა იქმნ და რას მიადრეოთ თუნდაც ამ მცირე დროში, რაც ერთად იღვწით.

— აგრარული რეფორმის კომისია ეკონომიკური რეფო-რმის მუდმივი კომისიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მის ადგილსა და როლს განსაზღვრავს თვით ეკო-ნომიკის აგრარული სექტორის ადგილი და როლი ეროვნულ ეკონომიკაში. აქვე შეგინშნავთ, რომ მწვავე სასურსათო კრიზისი, რომელიც „ანდრეოტი“ მიიღო ჩვენმა პარლამენ-ტმა, მხოლოდ რაღაც ევოლუციური ცვლილებების მოხ-დენით არ დაიძლევა.

არა მგონია ვიმეც ეჭვი ეპარებოდეს ამ მწვავე კრიზისის დაძლევის ისეთი „ინსტრუმენტის“ მომარაგების აუცილე-ბლობაში, როგორცაა რადიკალური აგრარული რეფორმა, მოკლედ და სქემატურად თუ ვიტყვი, ის თავის მხრივ სამ რეფორმას მოიცავს. ესენია, მიწის, ეკონომიკური და სო-ციალური რეფორმები. სამივეს უფროაღივ საფარეოები და ურთიერთ განხორციელებადი მნიშვნელობა აქვს.

მთლიანობაში აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით შე-სამუშავებელი და მისაღებია ორ ათეულამდე კანონი და საკანონმდებლო ხასიათის სხვა ფრიალ მნიშვნელოვანი დო-კუმენტი. მათ შესადგენად ინტენსიური მუშაობა გაჩაღე-ბული, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს უზენაესი საბ-ქოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლო-გიის მუდმივ კომისიაში, აგრეთვე სხვა კომისიებში.

ამასთანავე, როგორც აღვნიშნე, აგრარული რეფორმა მთლიანად ეკონომიკური რეფორმის შემადგენელი ნაწი-ლია და მისი განხორციელება. ის მჭიდროდა დაკავში-რებული სხვა კანონების შემუშავებასთან. უფრო მეტიც — ისინი წინ უნდა უსწრებდნენ მას. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ რადიკალური რეფორმის განხორციელებელი კანონების მიღება. დღეისათვის დასრულების პროცესშია მთელი რიგი კანონმდებლობის, რომელთა დამუშავებაში უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრებთან ერთად მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი მეცნიერ-აგრარეოლები, სპე-ციალისტები.

— ჩვენი მკითხველებისათვის უფროდ საინტერესოა თქვე-ნეული კომენტარი საქართველოს რესპუბლიკის იმ კანონის თაობაზე, რომლითაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სისტემის საწარმოებს ჩამოეწერათ ვალი.

— უფრო სრულყოფილი რომ იყოს ჩვენი პასუხები, ალ-ბათ უნდა შევეხეთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში არსებულ ზოგიერთ აქტუალურ-ფინანსურ საკითხს. რო-გორც ცნობილია, საბჭოთა მეურნეობის განვითარების ყო-ველი მოცემული მომენტისათვის გარკვეული ეკონომიკური თანაფარდობა მყარდება დარგებსა და სხეულმწიფო ბიუ-ჯეტს შორის, თვით დარგებს შორის, რაც პრაქტიკულად ხორციელდება ბიუჯეტში შენატანებისა და ფასების მექა-ნიზმის მეშვეობით. 1990 წლამდე სოფლის მეურნეობის ეკონომიკური კავშირურობითობა ბიუჯეტთან და მომიჯ-ნავე დარგებთან გარკვეულწილად არაეკვივალენტური იყო, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოგებიდან ბი-უჯეტში ანარიცხების ახალი განკვეთების შემოღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ახალი შესასყიდი ფა-სების დამტკიცების შემდეგ, კიდევ უფრო დაიძლია ეკონო-მიკური პარიტეტი სოფლის მეურნეობის საზიანოდ, ვლ-პარაკით ფაქტებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე შესასყიდი ფასების გადიდებით მხოლოდ ნაწილობრივ იქნა კომპენსირებული მის წარმოებაზე მოხმარებული სასაქონლო-მატერიალური და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე სხვა ხარჯების გა-დიდებით გამოწვეული თვითღირებულების გაზრდა. მიზ-ლოებითი განხორციელებით, ახალი შესასყიდი ფასების დაწე-სებით მიღებულ დამატებით შემოსავალთან შედარებით, აღნიშნული ფაქტორებით დამატებით გადიდებული თვით-ღირებულება 162 მილიონ მანეთით მეტს შეადგენს.

რესპუბლიკის მთავრობის მიერ აღნიშნული თანხა (162

მილიონი მანეთი) 1991 და მომდევნო წლებში მიზნობრივ-უნდა გამოყოფილიყო არაბელსაყრელ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მყოფ მეურნეობათა საწარმოო და სოციალური განვითარების დასაფინანსებლად, მაგრამ იგი ფაქტურად ჯერ არ შესრულებულია.

მართალია გადამწყვეტილია საზოგადოებრივი მეურნეობე-ბისათვის დაწესებული მოგებიდან 45 პროცენტის, ზოლო კოლმეურნეობების მოგებიდან 35 პროცენტის ბიუჯეტში გა-დასახდების ნორმატივების შემცირება, მაგრამ დადგენი-ლების გამოტანა ამ საკითხზე დასაჩქარებელია. ფინანსთა სამინისტროს წინადადებით იგი 10 პროცენტით შემცირდე-ბა, რადგანაც საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირე-ბით მუშა-მოსამსახურეებისათვის კომპენსაციის მიცემა სა-სოფლო-სამეურნეო საწარმოებს დაეცისათ.

თუ მოგებიდან ბიუჯეტში ანარიცხები საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის 35 პროცენტამდე შემცირდება, ზოლო

პროკლამა

პური ჩვენი



ააბა კოლუაშვილი

არსობისა

კოპერატიული მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის 25 პროცენტამდე, მიმდინარე წლის მო-გების გეგმიდან გამომდინარე, ბიუჯეტში გადასახდებელი 110,8 მილიონ მანეთი მაღლესს, რაც საშუალოდ მოგების 29,9 პროცენტია, 1990 წელს კი მან მხოლოდ 16,9 მილ. მანეთი ანუ მოგების 3,4 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის საზიანოდ ეკო-ნომიკური პარიტეტის დარღვევის თავიდან აცილების მიზ-ნით სხვა რესპუბლიკებში მოგებიდან ბიუჯეტში გადასახ-დებების განკვეთი 1990 წელს ფაქტურად არსებულ დო-ნეზე დაადგინეს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სასოფ-ლო-სამეურნეო საწარმოებიდან ეკონომიკური სტიმულირე-ბის ფონდების ნაშთიდან 30 პროცენტის ბიუჯეტში ამოღე-ბა, რაც 140 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. ამრიგად 1990 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობაში მიმდინარე წელს უნდა გაიღოს 233,9 მილიონი მანეთით მეტი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან ბიუჯეტში ამ ოდე-ნობით სახსრების ამოღება, გასულ წლებში შედარებით სტაბილური ეკონომიკის მქონე მეურნეობაშიც კი გამოი-წვევდა ფინანსური სიმცირეებისა და დღეს კი უფროდ შეაფე-რებებს მათს შემდგომ განვითარებას.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საცალო ფასების რე-ფორმასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ებს მიმდინარე წლის ცხრა თვეში მოუწევთ მუშა-მოსამსა-ხურეებისათვის კომპენსაციის სახით 346 მილიონი მანეთის მიცემა, რომლის პრაქტიკულად განხორციელების საშუალე-ბა ყველა მეურნეობას არ გააჩნია. ამის გამო, წინასწარი განხორციელებით, არსებული საზოგადოებრივი მეურნეობის თითქმის ნახევარი 255 მილ. მანეთის ზარალით უნდა დაი-გვეგოს. ეს კი ეწინააღმდეგება სრული სამეურნეო ანგარი-შისა და თვითღირსების პრინციპებს. ზარალიან მეურნე-ობებთან ბანკი თავის მხრივ შეწყვეტს საკრედიტო ურთი-ერთობებს, რაც გამოიწვევს ამ მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის პარალიზებას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის სესხებით სარგებ-ლობისათვის საფასურის ოდენობა გასულ წელთან შედარე-ბით მკვეთრად გადიდდა. მაგალითად, თუ გასულ წელს სა-შუალოდ 900 მილიონი მანეთის ბანკის მოკლევადიანი სეს-ხით სარგებლობისათვის მეურნეობები საფასურის სახით იხდიდნენ 16 მილიონ მანეთს, მიმდინარე წლიდან სესხის ამავე ოდენობაზე უნდა გადაიხადონ 54 მილიონი, ანუ 38

მილიონი მანეთით მეტი. ასევე გადიდებულია, საფასურის გადსახდებებისა და საფასო სამუშაოებზე განკვეთები, რაც მიზნობრივად განგარბებით 50 მილიონ მანეთს აჭარბებს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადამწყვეტილებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უნდა ჩამოეწერიან ბანკის ვადავადაცილებული სესხები, რაც 300-350 მილიონ მანეთს შეადგენს, ზემოაღნიშნული საკითხების მოუგვარებლობა უახლოეს ხანში კვლავ წარმოშობს ფინან-სურ სიმცირეებს, ბანკის სესხებისა და მომწოდებლების ვა-დავადაცილებულ დავალიანებებს. ამიტომ მთავრობამ უნდა დაამტკიცოს მისი სისრულეში მოყვანა. რა თქმა უნდა, სეს-ხების ჩამოწერით სესხამოვან მეურნეობებს მეტად მნი-შვნელოვანი დახმარება გაეწევათ.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩვენი აზრით მხოლოდ ორი გზა არსებობს: გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასები, მიზნობრივად 600-650 მილიონი მანეთის ფარგლებში და შეიცვალოს მო-გებიდან ბიუჯეტში შენატანების ახალი დაწესებული განა-კვეთები 1990 წელს ფაქტურად არსებულ დონეზე და-ტოვებით.

— იმავე სესიაზე, როცა ვალების ჩამოწერის საკითხი იდ-გა, თქვენ მოითხოვეთ სესხების ჩამოწერა იმ რაიონებიდანაც, რომლებიც გლენურ მეურნეობებზე არიან გადასული. უფ-რო კონკრეტულად თუ მოგვითხრობდით ამის შესახებ?

— ახლა შესაძლებელია კონკრეტული მსჯელობაც და ზოგიერთი ციფრებითი მონაცემის მოშველიება. მკითხ-ველს მოესენება, რომ ამბროლაურის, ადიგენის, ხარაგა-ულისა და მესტიის რაიონებში საზოგადოებრივი მეურნეო-ბების ბაზაზე შეიქმნა გლენური მეურნეობები, ზოლო ცა-კერის, ონისა და ლენტეხის რაიონებში ეს პროცესი ამა-მად მიმდინარეობს.

ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და მეურნეობებზე რი-ცხული, ბანკის ვადავადაცილებული სესხები დაფარა, მა-გრამ გრძელვადიანი სესხები კვლავ ერიცხებოდათ, მაშინ, როდესაც ისინი როგორც გადამხდელი იურიდიული პირნი, ლიკვიდირებული არიან. ყოფილ აგრარმეურნეო კომი-ტეის სახსრების უქონლობის გამო არ შეეძლო აღნიშნული სესხების დაფარვა. ისიც უნდა ითქვას, რომ მძიმე მდგო-მარეობა შექმნილი ამავე რაიონებში მოქმედ სასოფლო-სა-მეურნეო საწარმოებში.

1991 წლის 1 იანვრისათვის დაფარვით არაუზრუნველ-ყოფილია ბანკის გრძელვადიანი სესხა 12636 ათასი მანეთი შეადგინა. მათ შორის ადიგენის რაიონში — 2745 ათასი მანეთი, ამბროლაურში — 4555 ათასი, ცაქერში — 4216 ათასი, ხარაგაულში — 945 ათასი და ონის რაიონში — 211 ათასი მანეთი. რესპუბლიკის მთავრობა უთუოდ დააჩქა-რებს აღნიშნული საკითხის მოგვარებასაც.

— ბატონო პაატა, თქვენ ისაუბრეთ იმაზე, თუ რით შე-იძლება ჩვენი ისედაც არაეფექტური სოფლის მეურნეობის მართვის მექანიზმის რეანიმაცია. მკითხველისათვის საინტე-რესო იქნება თქვენი აზრი პრივატიზაციის შესახებ.

— ჩემი აზრით ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენს საუბარში და მთლიანად ეკონომიკაშიც. წინამდებარე მოსახრებები ეხება არსებული სისტემის ფარგლებში მე-შაობის, ერთი ხელის დავებით არსებული სისტემის შეც-ვლა და „რეგულაციური“ ნახტომები ცნობილია რითიც მოაზრდებოდა. ამიტომ, ვფიქრობთ, დღეს რაი მიმართუ-ლობით უნდა გაიშალოს მოშაობა, ჯერ ერთი, არსებული შე-ტრების სისტემის თუნდაც დროებითი მაგრამ რეანიმაცია-ოპერაციების ახალგაზრდა სამეურნეო, ზოლო მეორე, ჩე-მი აზრით უმნიშვნელოვანესი — მზადება ძირითადი ეკონო-მიკური რეფორმისათვის, რომლის განხორციელების აუცი-ლებლობა ეჭვს არ იწვევს. ახლა მოკლედ პრივატიზაციის შესახებ.

პრივატიზაცია პირველ რიგში პოლიტიკური პროცესია და მხოლოდ ამის შემდეგ გააჩნია მას ეკონომიკური, ტექ-ნიკური და სხვა ასპექტები. იმისდა მიხედვით პოლიტიკური მოღვაწე მხარს უჭერს თუ არა პრივატიზაციას, მას მიაკუ-რებენ განსხვავებულ კატეგორიას. თუმცა პრივატიზაცია პანაკეა არ წარმოადგენს ეკონომიკური დენინტეგრაციისა, მაგრამ იგი უმძლავრესი იარაღია ეკონომიკური პროცესე-ბის სტიმულირებისა და აღმავლობისა. თუ კარგად დავუ-ფიქრებთ პრივატიზაციის, იგი დემოკრატიის და თავისუფ-ლოების საწინააღმდეგო ფორმების გამო-ყენება, ექსპანზიური სისტემური განხორციელება უფროდ ირთიდებოდა ჯნა შეიქმნას არა მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერი, ეფექტური მეურნეობა, არამედ ჯნა თავისუფალი ახალგაზრდა. „სახელმწიფო აღმანიან“. ბიუროკრატიული ძალმომრეობით მართვისაგან განთავისუფლოს პიროვნება და გზა გაუხსნას მას რეალური განვითარებისაკენ, თვით-რეალიზაციისაკენ.

პრივატიზაციის ეკონომიკური მნიშვნელობა ნათელია, გა-დაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ურთიერ-ობების ეკონომიკის შექმნა მხოლოდ პრივატიზაციის გზით არის შესაძლებელი.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა განსაკუთრებით მგრძნო-ბიარება საკუთრების ფორმების (კოლონიზების) მიმართ. მი-წზე საკუთრების განსახლებლმეფორმებია არის ის ერთად-ერთი გზა, რომლითაც ჩვენ შეგძლონ ჩვენი საკუთრი პრა-ოოპერების ბაზრის სტაბილიზაციის. აქაც რეორგანიზაციის გონიერი პროგრამაა შესაქმნელი, სადაც კომპლექსურად იქნება გათვალისწინებული მიწის ფონდის, მსოფლიო ბა-ზრის, ეკოლოგიური და პოლიტიკური გარემოს მრავალი მა-ჩვენებელი.

მთავარია, რომ დრო არ დაიკარგოს; პრივატიზაციის გან-ხორციელება ეტაპობრივ პროცესია და მისი რეალიზაცია გონივრულად უნდა დაეფუძნოს.

ეკონომიკური რეფორმის კომისიამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. მომზადებულია კანონ-პროექტის რამდენიმე ვარიანტი საკუთრების და პრივატი-ზაციის შესახებ. რესპუბლიკაში გამოცხადებულ გარდამავალ პერიოდში აღნიშნულმა კანონპროექტებმა უნდა გათარო-შესაბამისი ადაპტაცია და მათში სრულად უნდა იქნეს გათ-ვალისწინებული ჩვენს რესპუბლიკის სპეციფიკა, უფრო მეტიც, ჩვენი ეროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. „მონაქრეს მოუგვიანდეს“, ნათქვამია, ამ საკითხებში ზედ-მეტი სიჩქარე და ზედმეტი დაგვიანება დაუშვებელია.

ესაუბრა გვანუკი მანია.



საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო ასოციაცია „კომპლექსი“-ს ფირმა „მამისონი“-ს გიწვევთ ა.წ. 15 სექტემბრიდან უმაღლესი კომერციული ინგლისურის შესასწავლად. სახელმძღვანელო შესაბამისი ტერმინოლოგიის და სიტყვების ინგლისურ-ქართულ-რუსული განმარტებითი ლექსიკონით მსმენელებს გადაეცემათ სწავლის დაწყების წინ.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ დაეუფლოთ უმაღლეს საერთაშორისო დონეზე კონტრაქტების შედგენის, მოლაპარაკების, საქმიანი მიმოწერის, პრეტენზიების, საჭიროების მიწოდების და ბიზნესისათვის საჭირო სხვა აუცილებელ დეტალებს.

ვიწვევთ მსმენელებს, რომლებიც კითხულობენ და თარგმნიან ინგლისურად ლექსიკონის დახმარებით. სწავლების ხანგრძლივობა 8 თვეა, მეცადინეობის განრიგი შეირჩევა თქვენთან შეთანხმებით. სწავლის ღირებულებაა 2960 მანეთი. უცხოელთათვის 2960 ამერიკული დოლარი ყველა ხარჯის ჩათვლით საქართველოში. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად. განცხადებები მიიღება ა.წ. 1 ივნისამდე.

ჩვენ ანგარიში №000468005 კომერციული ბანკი „თბილისი“, ანგარიში №000161307, კოდი 521006, სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო.

გელთ! კეთილი იყოს თქვენი მოზრდნება!
გეროდეთ, ჩვენი კურსდამთავრებული სპეციალისტი გარანტია თქვენი მომავალი წარმატებული ურთიერთობისა საზღვარგარეთის ფირმებთან.

დავფრთხილებთ ცნობიერებისათვის დარეკეთ ტელეფონებით: 95-23-72; 95-93-72.

მისამართი: არტვინის ქ. №53 (საბჭოს მოედნიდან ასახვევი ხელმარჯვნივ).
ავტოგზის №29 ყოფილ კოლმეურნეთა მოედნიდან).

სარეკლამო-სააგენტო
„არგო-ბლიკი“

გაქვს დასრულ საცურაო აუზში სიმაღლეში ზრდის რესპუბლიკური ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას ცნობილი მოსკოვული ექიმი-ნოვოტროის ა. ს. პალკოს მანერ შემუშავებული მეთოდით დაკომპლექტებულ ჯგუფებში.

ცენტრის ხელმძღვანელი რესპუბლიკაში ერთადერთი ექიმი-სპეციალისტი, პალკოს მიერ დიპლომირებული, თბილისში პირველი კაბინეტის დამაარსებელი თ. ვ. ქორიძე. გამოცდილი სპეციალისტების, მასაჟისტებისა და მეთოდისტების ხელმძღვანელობით თქვენ შეგიძლიათ გარდა სიმაღლეში მომატებისა, მარტივი და ორგანიზმისათვის უვნებელი მეთოდით:

— ზედმეტი წონის მოკლება;
— არასწორი დეკომისა და სიარულის გამოსწორება;
— I-II ხარისხის სკოლიოზის შეკნალობა.
თქვენ გელით ტრენაჟორების დარბაზი და მასაჟი, საცურაო აუზი და საუნა.

იჩქარეთ! 25-დღიანი კურსის ჩატარების შემდეგ თქვენ გაცილებით უკეთ, ლამაზად და მსუბუქად იგრძნობთ თავს.
მისამართი: ი.ჭავჭავაძის პრ. №49; ტელ.: 22-61-00

სარეკლამო-სააგენტო
„არგო-ბლიკი“

ფირმა „პუშკინი“ გიწვევთ გიტარაზე საესტრადო სიმღერების დაკვრის შემსწავლელ უმაღლეს კურსებზე, სწავლების ვადით 1,5 თვე. კურსებს ხელმძღვანელობს საესტრადო სიმღერების გიტარაზე დაკვრის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

მსმენელთა მიღება წარმოებს წინასწარ ჩაწერით ფირმის წარმომადგენლობაში ამა წლის 1 ივნისამდე.

მისამართი: გალაკტიონის ქ. 3/5 (თავისუფლების მოედანთან).
ტელ.: 99-75-79 (10⁰⁰ – 19⁰⁰ სთ-მდე).

იჩქარეთ, ნუ დაკარგავთ შანსს.

ხელმოწერითა საყურადღებოდ!

ექსპერიმენტული ფირმა „თხის რძა“ გაცნობით, რომ წიგნი „მედიკალური შენი“ მიღებულია და გაიყიდება 1 ივნისიდან. საქართველოს რაიონების, სოფლების იმ ორგანიზაციებში, რომლებშიც წერილობითი განცხადებით მოგვმართეს ასტომეულზე „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო.“ გაცნობით, რომ მათი საგარანტიო ბარათები შენსულია და უნდა გაიტანონ 30 ივნისამდე.

1. ჯანდაცვა ცხადდება ხელმოწერა (კოლექტორი) შემდეგ გამოცემებზე:
 2. ბიბლია (ილუსტრირებული ენციკლოპედია 3 ტომად).
 3. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერი საგანძური — 12 ტომად.
- საგარანტიო ბარათების მიღებისას მსურველებს შეუძლიათ გააფორმონ ხელშეკრულება წიგნების ბინაზე მითანის თაობაზე.
ჩვენი მისამართი: თბილისი, შ.ტრო „წერეთლის“ სადგური
საფირმო ჯიური „თხის რძა“. ტელ.: 34-96-41.

იპოვნეთ თქვენი პარტნიორი და რუსულ ენაზე სათარგმნელად

მიმართეთ ფირმა „არგო“-ს სერვის-ბიუროს. იპოვნეთ თქვენი კვალიფიციური სპეციალისტები უმოკლეს ვადებში გითარგმნიან სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას, სარეკლამო პროსპექტებს, ავტომანქანებისა და ტექნიკური მოწყობილობების ინსტრუქციებს, წერილებს, საგანგებო სტატიებს და ა. შ.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ. №1, ფირმა „არგო“-ს სერვის-ბიურო.
ტელეფონი: 87-58-25.

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

კერძო ტაქსების მფლობელთა საყურადღებოდ

გიწვევთ სამუშაოზე კოოპერატივი „საპანე“. გადასახადი თვეში მინიმალურია — 30 მან.

მისამართი: 1) გლდანის მასივი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია. წითელი ჭიხური წარწერით „საპანე“.
2) ბუდაპეშტის ქ. №1, I სართული, კოოპერატივი „საპანე“.

როკ-მუსიკის მოყვარულებს

რადიოთი ყოველ კვირას 24⁰⁰ საათზე გიწვევთ როკ-ჯგუფების ჰიტ-პარადზე „7 ვარსკვლავი“.

ჰიტ-პარადის შედეგები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“.

ფირმა „კამერტონი“
ფირმა „არბო“

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი

(მელიქიშვილის ქ. №1)
31 მაისი — 1 ივნისი

საქველმოქმედო კონცერტი

მონაწილეობენ: ბერძენი, პოსტფაქტუმი, ლიმუზინი, სტოუნჰენჯი.

შემოსავალი გადაირიცხება მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონდში.

საქველმოქმედო კონცერტის სპონსორია ფირმა „არბო“.

ვაპირავე

კოოპერატივისათვის
ნახევარსაარდაფს ფართობით
50 კვ. მ. საბურთალოს
რაიონში.

მისამართი: ჩერქეზიშვილის 28.

იყიდება სიმინდის ახლები ახალი ხაშირგისანი კომპანია „ხმარონი“.

მისამართი: ქ. ქუთაისი, გვანცელაძის 89.


ტელ. 6-59-25

სწრაფად და ხარისხიანად

გთავაზობთ ინდივიდუალურ სავიზიტო ბარათების დამზადებას კომერციული ცენტრი „სილი“. შეკვეთები მიიღება როგორც ინდივიდუალური პირებისაგან, ისე ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან. მოგვმართეთ ლეხენიძის ქ. 18. ძმებ სისაურების სახელოსნო-სალონი, აქვე თქვენ შეგიძლიათ შეუკეთოთ სასაქონლო ან საფირმო ნიშანი.
ტელ: 98-85-77

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

კოოპერატიული ბანკი „აბიანე“
სამუშაო იწყებს სპეციალისტთა მოყვარულ ბუღალტრის თანამდებობაზე. ზღაპარი — გამოცდილებისა და კვალიფიციის შესაბამისად ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
დამატებითი ცნობები ტელეფონით: 38-29-91.



Общественно-политическая
газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-58;
წერილების განყოფილება — 99-00-99.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ
სამუშაობს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტო-
რებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს ურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი.
მ. კობტაძის 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში სოჭის რაიონის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ ბალაჩიშვილი

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კობტაძის ქ. № 14.

